ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს
№28 (1538) 22–24 მარტი, 1997 წელი



გ. აბაშიძის ნახატი

## თუ ინჯიამ სატელეფონო ტარიფების მომატების შესახებ წინასწარ აცნობა ზემდგომთ, მაშინ რას ერჩიან მას?

### მთავრობის გაფართოებული სხდომა

გუშინ საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე დამატებით საკითხად იქნა გამოტანილი საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის ფ.ინჯიას მოხსენება. როგორც მინისტრმა განაცხადა, სატელეფონო მომსახურებაზე ტარიფების მომატების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ შესაბამისი ინსტანციები, როგორც სახელმწიფო კანცელარიაში, ისე საქართველოს პარლამენტში. მისივე თქმით, ამასთან დაკავშირებით, მას სათანადო დოკუმენტაციაც გააჩნია. თავის გამოსვლაში ფ.ინჯია დაეყრდნო მსოფლიო ბანკის რეკომენდაციას, რომელმაც ჯერ კიდევ 1993 წელს მოითხოვა ტარიფების მომატება, რაც მინისტრმა იმით ახსნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში არცერთი ინვესტორი ამ სისტემაში ინვესტიციას არ ჩადებდა.

ფ.ინჯიას თქმით, უფრო მეტიც, ტარიფების მომატება მოსახლეობაზე ზრუნვითაა გამოწვეული. კერძოდ, მინისტრს არ შეუძლია არ იზრუნოს იმ აბონენტთა ნერვულ სისტემაზე, რომლებიც ხაზის დაკავების გამო საათობით ვერ ახერხებენ საჭირო აბონენტთან დაკავშირებას. „აბონენტთა ნერვულ სისტემაზე მზრუნველობით იაპონელებმა დაკავების ზუმერი მუსიკით შეცვალეს“ - განაცხადა ფ.ინჯიამ. მოსახლეობისადმი მინისტრის ზრუნვა, მისი თქმით, უფრო შორს წავიდა და სწორედ ამიტომ დააწესა ფასიანი გადასახადი. ფ.ინჯიამ, რატომღაც მოუწოდა თბილისელებს, ჩაიხედონ ნებისმიერ სატელეფონო ჭაში, რათა დარწმუნდნენ მათ სავალალო მდგომარეობაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვიდა

3

## შოთა კვირაია — რუსეთის აგენტი!

20 მარტს პარლამენტის სხდომაზე ირინა სარიშვილ-ჭანტურიამ განაცხადა, რომ დღეს რუსეთის სპეცსამსახურების პლაცდარმი საქართველოში არის საქართველოს უშიშროების სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელი თავისი გარემოცვით, რომელიც თავისი წინამორბედი იგორ გიორგაძისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ გიორგაძე ემსახურებოდა მთავარ სადაზვერვო სამსახურს (გრუს), შოთა კვირაია ემსახურება რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურს (ფსბს). ირინა სარიშვილი-ჭანტურია აცხადებს, რომ ის ფლობს ყველა საჭირო დოკუმენტაციას თავისი ბრალდების დასამტკიცებლად.



## დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

### მოსალოდნელია დიდი „ბუნტი“...

### «მოქალაქეთა» ძველი გვარდია ძველებურად «მღერის»

### ასე თუ გაგრძელდა, აღმასრულებელი ხელისუფლება აღესრულება...



3

### რევაზ მიშველაძე:

## ახლა გაიგო ჩვენმა პარლამენტმა, ვარდიკომ რომ ქართული არ იცის?

2

## ნიკოფსიიდან... სოლანოშოლამდე?!

6

## საით მიდის საქართველო?

ალექსანდრე ქაქია

4

# პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად

**19 მწარე შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ვარდიკო ნადიბაიძეს**

**– როგორც მინისტრი, რას გვპირდებით – რამდენ წელიწადში ეყოლება საქართველოს არმია, რომელიც დამოუკიდებლად შესძლებს ქვეყნის დაცვას?**

## რევაზ მიშველაძე:

# ახლა გაიგო ჩვენმა პარლამენტმა, ვარდიკომ რომ ქართული არ იცის?

— ეს კითხვა 19 მწარე შეკითხვიდან ერთ-ერთია, რომლის პასუხი ბ-ნ ვარდიკო ნადიბაიძემ არ ინება, რისთვისაც ჟურნალისტთა სამართლიანი რისხვა დაიტეხა თავს.

ამ ხელისუფლების ხელში საქართველოს დამოუკიდებლად ქვეყნის დამცველი არმია არასოდეს ეყოლება. ოთხი წელი გავიდა, რაც რუსების ჯარმა დაგვამარცხა და ჩვენ ეროვნული არმიის შექმნას კი არ ვცდილობთ, ოთხიოდე საპარადო საჩვენებელი ბატალიონი შევქმენით მარიონეტული ხელისუფლების პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და ქართველი ხალხისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად. ეს არის და ეს. ჯარისკაცს ეროვნული თვითშეგნება ბადებს და ზრდის. აბა ერთი ოცმეთაური თუ იტყვის, რომ იგი თავის შეციებულ, ნახევრადმშიერ ჯარისკაცებს დამპყრობელი რუსისადმი რევანშის აღების სულისკვეთებით ზრდის? პირიქით, რუსეთს ვთხოვთ დაგვეხმაროს ქართული არმიის მშენებლობაში. განა გაიმარჯვებს ის არმია, რომელსაც მთავარი კონსულტაცია მტრის ურდოდან, მოსკოვიდან ეწევა? ისე სულელია მოსკოვი, რომ საქართველოში შექმნის ისეთ ძლიერ ჯარს,, რომელიც ხვალ თუ ზეგ პასუხს აგებინებს აფხაზეთის და სამაჩაბლოსთვის? 400 ათასი წამებული ლტოლვილისთვის და 30 ათასი დაუმარხავი ბიჭისთვის?

დიახ, ეროვნებით ქართველი, მაგრამ თავისი აღზრდით, მრწამსით რუსის გენერალია ვ.ნადიბაიძე. იგი შინაური კაცია რუსეთის მაღალ სამხედრო ეშელონებში და ჩეჩნეთში სამარცხვინოდ დამარცხებული რუსეთის არმიის მარშალთა კაბინეტებში თავისუფლად გადი-გამოდის...

სხვას რას მოელით და რას მოითხოვთ ბ-ნ ვ.ნადიბაიძისგან? თქვენ ფიქრობთ, თუ ეს ვარდიკო სხვა ვარდიკოთი შევცვალეთ ეშველება ქართული ჯარის მშენებლობის საქმეს? ვინ ფიქრობს ასე გულუბრყვილოდ, რას ერჩით ვარდიკოს? ვარდიკო სამხედრო კაცია და რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებს. უთხრა ვინმემ ნუ გაარუსულაზროვნე ქართული ჯარი, ნუ ეგები ფეხქვეშ რუსის ვიწროშუბლა გენერლებს, გაანებე თავი მღვდელ-მირონობანას და 9 აპრილის ჯალათთა საქართველოში დაპატიჟებასო და არ შეისმინა?

ახლა გაიგო ჩვენმა პარლამენტმა, ვარდიკომ რომ ქართული არ იცის? როცა მინისტრად ერთხმად ამტკიცებდნენ, მაშინ არ იყო საჭირო ქართველი თავდაცვის მინისტრისთვის ქართულის ცოდნა? მაშინ სწორედ ვარდიკო სჭირდებოდა ჩვენს მარიონეტულ ხელისუფლებას, უფრო უკეთ რომ მოთავსებულიყო რუსეთის გვამში. ახლა? სხვა დროა და მავრი უნდა წავიდეს? რატომ ვაბნევთ ვარდიკოს? როდიონოვი რომ მინისტრად დანიშნეს, ვარდიკოზე ადრე ვინ მიესალმა მის დანიშვნას და ვინ მოსწმინდა ჯალათის სისხლი – როდიონოვი არაფერ შუაშია, რაც უბრძანეს ის გააკეთა. მართლაც და არც როდიონოვია შუაში და არც ნადიბაიძე. შუაში ის ხელისუფლებაა, საქართველოსგან მონურ, ვასალურ სახელმწიფოს ვინც აკეთებს. ამ პოლიტიკის გამოა, ლამის 20 დღეა სასიკვდილოდ რომ გავწირეთ 12 მოშიმშილე პატრიოტი. ამ პოლიტიკის გამოა საქართველოს წყლებში „შემოჭრილი" მშვიდობიან უიარაღო თურქ მეთევზეს ცინიკურად რომ გვიკლავს ცხვირწინ რუსი და ჩვენ რუსეთის სარდლობისთვის საპროტესტო ნოტაც ვერ გაგვიგზავნია ამ არამკითხე მეურვეობის გამო.

ასეა, რუსეთი თურქეთთან თურმე თავის საზღვარს იცავს, ხოლო ჩვენ ამერიკისა და ევროპის საერთაშორისო ინსტიტუტებში დამოუკიდებელ ქვეყნად რომ კოხტავპრუწაობთ, მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო საზღვრებში ვართ მოყუჩებული და იგავის ყვავივით ბოლოს მაღლა ვიწევთ. რა არ ილონა ნატოს გენერალურ მდივანმა – ჰავიერ სოლანამ, ნადიბაიძეში ეროვნული კაცი რომ გაეღვიძებინა, რა პერსპექტივებით არ დაუხატა ნატოს გზით საქართველოსთვის სამუდამო მშვიდობის მოპოვების გარანტია, მაგრამ არა თუ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პრობლემაზე ვერ დაითანხმა, თბილისში ნატოს ეგიდითა და დაფინანსებით სამხედრო სასწავლებლის გახსნაზეც კი კატეგორიული უარი მიიღო. რატომ? მბრძანებელ რუსეთს არ სურს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში თუნდაც ერთი მისთვის ბუნდოვანი წერტილი გაჩნდეს. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს რომ ვამბობ, არ გაგელიმოთ. ჩვენ რუსეთმა გასარემონტებელი, ცისფრად მბოლავი, ჩამოსაწერი ტანკები გადმოგვცა, ხოლო კომპიუტერული ტანკები თვითონ დაიტოვა. კვდებოდნენ ალბათ რუსი პირატები სიცილით, ჩვენი ბიჭები ძველთაძველი ტანკებით რომ დაფართხუნებდნენ აფხაზეთში და ამგვარ ტანკებზე ამხედრებული რუსის პირდაპირი დამიზნებით როცა ფეთქდებოდნენ, მომაკვდავთ გაოცება ედგათ თვალებში, როგორ ასე მალე, ლამის უბრძოლველად რატომ ვკვდებითო. რუსმა სამხედრო ხომალდების გადმოცემაზე სამი თითის კომბინაცია გვიჩვენა და ახლახანს ოჩამჩირის სასაზღვრო საზღვაო ტექნიკაც მოკავშირე აფსუას დაუტოვა. მერე რა თუ აფსუას იმ ტექნიკის ინბინჩი არ გაეგება. იქ არა ჰყავს რუსი ინსტრუქტორები? რა ზომებს მიმართავს ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ ბატონი ვარდიკო (სახელიც რომ მოსაფერებელი აქვს)? არაფერს. სურვილიც რომ ჰქონდეს, წინ ვერ წაუხტება იგი საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს – უმაღლეს მთავარსარდალს და უშიშროების საბჭოს.

აბა დადგეს საქართველოს ხელისუფლება ეროვნულ ჭკუაზე, ეროვნულ პოზიციაზე, მტკიცედ გადაწყვიტოს მან საქართველოს გამთლიანება და ნახავთ, ყველა ვარდიკო მოძებნის თავის ადგილს. რაო, იოლია განტევების ვაცის პოვნა ვარდიკოს სახით და ჯოხის სხვის თავზე გადატეხვა?

საერთოდ კი ნადიბაიძის კრიტიკას ერთი მიმართულება მაინც აქვს: „დოქო შენ გეუბნებიან, კოკავ, შენ გაიგონეო".

# რამდენი კაცი დარჩა აფხაზეთში?

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მონაცემები მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ 1997 წლის პირველი იანვრისათვის**

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა პატარა ინფორმაცია, რომელშიც გაიპარა სამწუხარო შეცდომა. თამაზ ნადარეიშვილის განცხადების მიხედვით, ომამდე აფხაზეთში იყო 525000 მცხოვრები. ნაცვლად ამისა ეწერა: ომამდე აფხაზეთში 525000 აფხაზი ცხოვრობდა-ო. ამ მექანიკური, მაგრამ სამწუხარო შეცდომის გამო მკითხველებს ბოდიშს ვუხდით.

ჩვენი მონაცემებით, ამჟამად აფხაზეთში ყველა ეროვნების ხალხი ერთად აღებული, არძინბას რეჟიმის გადამკიდე, მხოლოდ იმდენია დარჩენილი, რამდენსაც დაიტევს დინამოს სტადიონი.

აქვე გთავაზობთ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ გადმოცემულ ზუსტ ცხრილს აფხაზეთის მოსახლეობისა.

**მონაცემები მოგვაწოდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრესსამსახურმა**

| №№ | ქალაქებისა და რაიონების დასახელება | აფხაზები | | ქართველები | | რუსები | | სომხები | | სხვები | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | რაოდ. | % | რაოდ. | % | რაოდ. | % | რაოდ. | % | რაოდ. | |
| 1 | სოხუმი | 47.39 | 11046 | 5.64 | 1315 | 24.16 | 5630 | 17.39 | 4053 | 5.42 | 1263 | 23307 |
| 2 | ტყვარჩელი | 59.98 | 706 | 15.04 | 177 | 21.92 | 258 | 2.04 | 24 | 1.02 | 12 | 1177 |
| 3 | გაგრის ზონა | 36.28 | 5378 | 3 | 445 | 23.49 | 3482 | 28.49 | 4224 | 8.74 | 1296 | 14825 |
| 4 | გუდაუთის რაიონი | 60.73 | 20170 | 0.91 | 302 | 11.82 | 3927 | 10.57 | 3511 | 15.96 | 5302 | 33212 |
| 5 | სოხუმის რაიონი | 59.98 | 2479 | 5.01 | 207 | 9 | 372 | 21 | 868 | 5.01 | 207 | 4133 |
| 6 | გულრიფშის რაიონი | 39.14 | 3604 | 35.4 | 3260 | 9.06 | 834 | 13.58 | 1250 | 2.82 | 260 | 9208 |
| 7 | ოჩამჩირის რაიონი | 66.84 | 10161 | 8.58 | 1304 | 6 | 912 | 15.58 | 2368 | 3 | 456 | 15201 |
| 8 | გალის რაიონი | 1 | 449 | 81.1 | 36432 | 6 | 2695 | 3.23 | 1449 | 8.68 | 3898 | 44923 |
| | აფხაზეთი | 36.98 | 53993 | 29.76 | 43442 | 12.4 | 18110 | 12.16 | 17747 | 8.7 | 12694 | 145986 |
| | მოსახლეობა 1989 წლის აღწერით | 17.8 | 93267 | 45.7 | 239872 | 14.2 | 74913 | 14.6 | 76541 | 7.7 | 40468 | 525061 |
| | პროცენტული შემცირება 1992-97 წწ. | 42.11 | | 81.89 | | 75.82 | | 76.8 | | 68.6 | | 72.2 |
| | ციფრობრივი შემცირება 1992-97 წწ. | 39.274 | | 196.43 | | 56.803 | | 58.794 | | 27.774 | | 379.075 |

## თუ ინჯიამ სატელეფონო ტარიფების მომატების შესახებ წინასწარ აცნობა ზემდგომთ, მაშინ რას ერჩიან მას?

პირველი გვერდიდან

ეკონომიკის მინისტრი ვაპაევა, ვისი უწყების ვიზირების შედეგადაც მოხდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება. მან რამდენიმე ნაკლებადდამაჯერებელი არგუმენტი მოიყვანა მათ შორის განსაკუთრებით საინტერესო იყო ის გარემოება, რომ სამინისტროს გათვლებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას სახბიუჯეტისათვის 986 ათას 500 ლარი უნდა მოეტანა.

სხდომის შეჯამებისას, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პარლამენტმა მთავრობაზე ადრე მიაქცია ყურადღება ამ კანონსაწინააღმდეგო ფაქტს და არ გამორიცხავს, რომ პარლამენტი ამ საკითხს უახლოეს ხანებში დაუთმობს საპარლამენტო სხდომას. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მართალია საბაზრო ეკონომიკას თავის კანონები აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ უნდა იქნეს დავიწყებული მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა. მისივე თქმით, პურზე და ელ.ენერგიაზე ფასების მომატება არ ყოფილა მოსახლეობის მიერ ასე მტკივნეულად აღქმული, რადგან მოსახლეობაში ტარდებოდა მუშაობა და მოხერხდა მდგომარეობის შემამსუბუქებელი თანხების გამონახვა. „საქმე გვაქვს სერიოზულ მოვლენასთან, როცა გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად ხდება“ - განაცხადა ე.შევარდნაძემ. პრეზიდენტის თქმით, მართალია სამინისტრომ თავად გაუქმა ანულირება მისივე გადაწყვეტილებას, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებით მინისტრმა სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა. ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება გამოიცემა

## სპეცჯგუფი „ომეგა“ განადგურდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე წლის წინათ გაიგზავნა 50 ქართველი ახალგაზრდა სპეციალური მომზადებისათვის. ჩამოყალიბდა ჯგუფი „ომეგა“. დღესდღეობით სამართალდამცავი ორგანოები მათზე ნადირობას აწარმოებენ. გამქრალი და „შემთხვევით“ მოკლულია 29 კაცი. ნაწილი დაკავებულია აბსურდული ბრალდებით, ვითომ პრეზიდენტზე თავდასხმას აწყობდნენ. დანარჩენები კი მიმალვაში არიან. ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ამ განცხადებას დაეთანხმა ირაკლი ბათიაშვილი, რომლის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობის დროსაც გაიგზავნა შეერთებულ შტატებში ახალგაზრდათა ეს ჯგუფი. ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ისიც აღნიშნა, რომ „ომეგას“ განადგურებაში დიდი წვლილი მიუძღვის, როგორც შოთა კვირაიას, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას.

# დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

## „მოქალაქეთა“ ძველი გვარდია ძველებურად „მღერის“

**შიმშილობის მე-19 დღე. 20 მარტი. ხუთშაბათი**

როდესაც პარლამენტის დილის სხდომაზე მხოლოდ ორი, არაფრისმომცემი დოკუმენტი იქნა გამოტანილი და მოქალაქეთა ძველი გვარდიის მძიმე არტილერია, ელდარ შენგელაიას თამადობით, დებატებში ჩაერთო, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ პარლამენტი არავითარ სერიოზულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე და მოშიმშილეთა აქციაც მხოლოდ პოლ ბრეგის შიმშილობის მეთოდის მასიური რეალიზაციის პირველ მცდელობად დარჩებოდა. მეორე მხრივ პარლამენტის ამგვარ პოზიციას დევნილ მოსახლეობაში და მოშიმშილე დეპუტატებში შეიძლება სასოწარკვეთა და, ამისგან გამომდინარე, უფრო რადიკალური ქმედებაც გამოეწვია, რაც ასე აშინებთ ჩვენს ხელისუფალთ. ალბათ ყველაფერი ამის გათვალისწინებით მოშიმშილეთა აქციას, პირდაპირ თუ შეფარულად, თავს დაესხნენ როგორც მემარცხენეები, ასევე მემარჯვენეები. უფრო სწორად კი პოლუსების არევა მოხდა და ეს თავისთავად უწყობდა ხელს ელაპარაკათ ყველაფერზე და არაფერზე პარლამენტის დილის სხდომის ნახევარი წაიღო იმაზე მსჯელობამ, განცხადებაში ფრაქციებს შორის შემთანხმებელი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ დარჩენილიყო თუ არა 1801 წლის და 1921 წლის ანექსიისა და აგრესიის ფორმულირება. დღევანდელი დეპუტატების უმეტესობას ეს თემა გავლილი არა აქვთ და პირველკლასელის ჟინით შეუდგნენ მათთვის ახალი მასალის გააზრებას. ყველაფერი კი ელდარ შენგელაიას რეპლიკიდან დაიწყო, რუსებს წითელ ნაჭერს ნუ ავუფრიალებთ; არ გავალიზიანოთო. თურმე მოსკოვის 28 მარტს გამართულ სამიტზე, საქართველოს დეპუტაციას ამის გამო შიმშილით მოკლავენ და საერთო ფერხულს, ახალი იმპერიის შესაქმნელად, საქართველო გამოაკლდება. შალვა ნათელაშვილმა პასუხად უთხრა, სულ ჩვენ ვართ გალიზიანებული, არა უჭირთ რა, ერთხელ ისინიც გალიზიანდნენ. ამ სამიტებზე შეიძლება „საპნის ოპერების“ სერიალის გადაღება, საიდანაც არაფერი არ მიგვიღიაო. შალვა ნათელაშვილის ამგვარი ტრანსფორმაცია მართლაც საკვირველია, მაგრამ უფრო მეტი საცოდაობა აზროვნების ის სუბლიმაციაა, რომელიც გიგა ლორთქიფანიძეს განუცდია, რომელმაც ელდარ შენგელაიას ვაუკაცობა შეუქო, არაპოპულარული განცხადებისთვის.

პარლამენტმა, შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, მიიღო განცხადების ტექსტი და ღია დებატები აფხაზეთის და სამაჩაბლოს შესახებ 3 აპრილს დანიშნა. შემთანხმებელ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა მიხეილ სააკაშვილი. მაგრამ ამით კამათი არ შეჩერებულა. ირინა სარიშვილმა ახალი თემა წამოწია და იგი შიმშილობის აქციასთან დააკავშირა. საქმე ეხება საქართველოს უშიშროების სისტემაში არა მხოლოდ კორუფციის, არამედ მთელი სისტემის რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირს. „სასწრაფოდ უნდა გაირკვეს ძალისმიერი სტრუქტურების საკითხი, რადგან უცხო ქვეყნის აგენტურა თავს ესხმის საქართველოს პერსპექტივას“. დარბაზი გაისუსა. თემა, თავისთავად, ყველასათვის მტკივნეული და საინტერესო იყო. დეპუტატებმა ამ საკითხზე დაიწყეს მსჯელობა და მოშიმშილეები და აფხაზეთი თითქმის მიივიწყეს.

დღის ორ საათზე ზურაბ ჟვანიამ გამოსავალი ნახა და განაცხადა, აქციასთან სოლიდარობის გამო სხდომა ხვალ დილამდე შეწყდეს და ხვალ დილით მუშაობას ვიწყებს დღის წესრიგის მორიგი საკითხიდანო.

პარლამენტის სხდომის შემდეგ მოშიმშილეებთან მივიდნენ მიხეილ სააკაშვილი, გია ბარამიძე და სხვა დეპუტატები. სახალხოდ მოშიმშილეებს პროტესტი არ გამოუთქვამთ მათ მიმართ, მაგრამ როდესაც ცალკე ოთახში განმარტოვდნენ, იქიდან საკმაოდ ხმამაღალი კამათი ისმოდა. შეკრების შედეგების მომლოდინე ჟურნალისტები კი ირინა სარიშვილის სიტყვის გარჩევას შეუდგნენ. პირველმა გენო კალანდიამ დატოვა მოშიმშილეთა შეკრება. „მე არ შემიძლია ეხლა პერმანენტულ შიმშილზე გადავიდე. მე თუ ვშიმშილობ, ბოლომდე ვიქნები ასე და საკაცით გამიტანონ აქედან. თუ არა და, შევწყვეტთ შიმშილობას ყველა“. - თქვა გენო კალანდიამ. ეტყობა, სააკაშვილი არგუმენტად მოსკოვის 28 მარტის სამიტს ასახელებდა და სთხოვდა მოშიმშილეებს შიმშილობა შეეწყვიტათ, მაგრამ მოშიმშილე დეპუტატებს მოსკოვის სამიტის არავითარი იმედი არა აქვთ. შეკრების შემდეგ გერმანე ფაცაციამ თქვა: „პარლამენტის მიერ მიღებულ განცხადებაში არაა ლაპარაკი პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე, მან მიიღო მიმართვა მოშიმშილეებისადმი, ხოლო განცხადებაში არის მხოლოდ პოლიტიკური მონახაზი, თუ საერთოდ როგორ უნდა დავიცვათ ჩვენ ჩვენი სუვერენიტეტი“. ყველა მოშიმშილე დეპუტატმა თავი აარიდა პასუხს, გააგრძელებენ ისინი შიმშილობას, თუ შეწყვეტენ აქციას და დაინტერესებული ჟურნალისტები მომავალი დღის 4 საათზე დაიბარეს. საერთო განწყობილება კი მიგვანიშნებს, რომ მოშიმშილეთა აქცია შეიძლება ახალ ხარისხში გადაიზარდოს.

## ასე თუ გაგრძელდა, აღმასრულებელი ხელისუფლება აღესრულება...

**შიმშილობის მე-20 დღე. 21 მარტი. პარასკევი**

დღის ორ საათზე სასტუმრო „ივერიის“ წინ ხალხი შეიკრიბა. თუმცა მათ მანქანების მოძრაობა არ გადაუკეტავთ, მაგრამ დაახლოებით 10 ათასი კაცი იყო განფენილი რესპუბლიკის მოედანსა და სასტუმროს შორის.

მიტინგი გახსნა დეპუტატმა თორნიკე ფიფიამ და თქვა, რომ დეპუტატები აქციას გააგრძელებენ, თუ ხალხი ამის საჭიროებას დაინახავს. გერმანე ფაცაციამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ 1991-92 წლებში საქართველოში დიდ უზნეობას ჩაეყარა საფუძველი, იყო უზნეობის ზეიმი და დღეს მის შედეგებს ვიმკით. ხალხს მიმართეს აფხაზეთისა და ჩრდილო ქართლის პოლიტიკურ გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა გია მელაძემ, ვახტანგ ბოჭორიშვილმა და სხვებმა. სიტყვის თქმა უნდოდა თენგიზ კიკაჩეიშვილსაც, მაგრამ მიტინგის ორგანიზატორებმა მას მიკროფონი არ მისცეს, აქ ჩვენ საკოორდინაციო საბჭოს სახელით ემოქმედებთ და სხვა თემის შემოტანა არ გვსურსო. კიკაჩეიშვილს რა უჭირდა, მიკროფონი ირაკლი წერეთელსაც არ დაუთმეს, რომელიც გაფითრდა...

თორნიკე ფიფიამ წაიკითხა რეზოლუცია და ხალხს თანხმობა სთხოვა. შეკრებილები დაეთანხმნენ და აღიმართა ხელების ტყე.

მიტინგის შემდეგ მოშიმშილე დეპუტატებმა მცირე თათბირის შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ შიმშილობას აჩერებენ, მაგრამ აქცია გრძელდება სხვა რეჟიმში. ისინი პარლამენტში გააგრძელებენ ბრძოლას. მაგრამ თუ მათი მოთხოვნები 3 აპრილს არ შესრულდა, მიზნის მისაღწევად ტაქტიკას ისევ შეცვლიან და გადავლენ საერთო-სახალხო მოძრაობაზე.

გერმანე ფაცაციამ განაცხადა, რომ იგი არ ელოდა პარლამენტისაგან, რომ ლაპარაკი დაიწყებოდა 1801, 1921 წლების ანექსიის შესახებ და პარლამენტი მოითხოვდა რუსეთთის სამხედრო ძალის არა მხოლოდ აფხაზეთ-სამაჩაბლოდან, არამედ მთელი საქართველოდან გაყვანას. ამიტომ იმედი აქვს, რომ საკითხი მომავლისთვის სასიკეთოდ გადაწყდება.

თორნიკე ფიფიამ ისაუბრა იმ პოზიტიურ მნიშვნელობაზე, რომელიც მათ აქციით მიაღწიეს: „ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, საქართველო კი რჩება. ჩვენ გამოვაფხიზლეთ პარლამენტი და არ მოვასვენებთ არც მას და არც პრეზიდენტს, რათა აფხაზეთი დაბრუნდეს საქართველოში, თორემ ზოგიერთს ჰგონია, მხოლოდ ლტოლვილების იქ დაბრუნება წყვეტდეს ყველა საკითხს.“

ჟურნალისტებმა იკითხეს აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციის შესახებ, რომლებსაც თავის პოზიცია ოფიციალურად არსად არ გამოუთქვამთ. გერმანე ფაცაციამ მოკლედ მოჭრა: აღმასრულებელი ხელისუფლება აღესრულება. რას აღასრულებს კუჭი, ჩვენი საქმე არაა.

ბოლოს მოშიმშილე დეპუტატებმა მადლობა გადაგვიხადეს და თქვეს, რომ მათთვის საქართველოს IV ხელისუფლებამ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე დანარჩენმა სამმა. ამავე დროს ისურვეს, რომ მომავალში I და II ხელისუფლებაში ისეთი ხალხი მოსულიყოს, როგორიც დღეს IV ხელისუფლებაშია.

შიმშილობა დამთავრდა. სამთავრობო დაცვას საქმე გამოუჩნდა და მაშინვე მოინდომა ტერიტორიის გაწმენდა, მაგრამ მოშიმშილეთა პრეს-ცენტრში მოახსენეს, რომ ისინი სამუშაოს აგრძელებენ და საერთოდ აქცია გრძელდება. მოშიმშილეები თავისი ბარგით კი, ზოგი სახლში წავიდა, ზოგი კი ექიმებმა საავადმყოფოში გაამწესეს რეაბილიტაციის მიზნით.

**მანანა იაშვილი**

# მოსალოდნელია დიდი „ბუნტი“...

*აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა მიტინგის რეზოლუცია*

20 დღეა მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთი“-ს შიმშილობის აქცია დევნილთა და ყველა უზენაესი ნების ქართველის უმთავრესი სასიცოცხლო მოთხოვნით - „დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაყვანილ იქნან ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები და სხვა სამხედრო შენაერთები“. შიმშილობის მეცხრამეტე დღეს პარლამენტმა მიიღო მიმართვა მოშიმშილეებისადმი და გააკეთა პოლიტიკური განცხადება, სადაც გაცხადებულია სახელმწიფოებრივი ნება რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულ ანექსიათა შედეგების ლიკვიდაციის კონცეფციისა, რომლის რეალიზაცია უნდა დაიწყოს მესამე ანუ, ნაწილობრივი ანექსიის შედეგების ლიკვიდაციით, რაც განხორციელდება მიმდინარე წლის აპრილის თვეში.

შიმშილობის პროცესმა საქართველო გამოიყვანა დათრგუნული რეჟიმიდან და სტაგნაციიდან, შინ და გარეთ საჩინო გახდა გადაულახავ პრობლემათა მთელი წყება, რომელთა გადაუჭრელობას არანაირად არ დაუშვებს ქართველი ხალხი.

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა შეკრება კიდევ ერთხელ ადასტურებს რა შიმშილობის აქციის მონაწილეთა მოთხოვნებისადმი უპირობო ერთგულებას, მოითხოვს:

1. რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებმა და რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დაუყოვნებლივ და უპირობოდ დატოვონ ოკუპირებული ტერიტორიები.

2. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამაჩაბლოში) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის სრულ აღდგენამდე შეწყდეს ყოველგვარი მოლაპარაკება მათ ყოველგვარ სტატუსზე.

3. კატეგორიული უარი ეთქვას რუსეთის ნეოიმპერიის საფუძველს - დსთ-ს წესდებას და საქართველოს ხელისუფლებამ არ მიიღოს მონაწილეობა დსთ-ს მეთაურთა სამიტის მუშაობაში.

4. შეჩერდეს რუსეთთან ე.წ. დიდი ხელშეკრულების შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება.

5. ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებისა და სხვა სამხედრო შენაერთების დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაუყვანლობის შემთხვევაში, შიმშილობის აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა შეიცვალოს მოთხოვნით - „მოვითხოვთ საქართველოს სრულ დეოკუპაციას“!

6. აფხაზეთიდან და ჩრდილო ქართლიდან (ცხინვალის რეგიონიდან) დევნილი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭომ ფუნქციონირება გააგრძელოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და იურისდიქციააღდგენილ ტერიტორიებზე დევნილთა დაბრუნებამდე და ამ მიზნით შიმშილობის აქციის პარალელურად დაგეგმოს და დაიწყოს ფართომასშტაბიანი საერთო-სახალხო მოძრაობა.

თბილისი, 22 მარტი, 1997 წელი.

## ვახტანგ რჩეულიშვილს არ ეშინია

როგორც ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს ლუსტრაციის კანონი. ეს ძალიან მტკივნეული გზაა, მაგრამ დიდ შედეგს გამოიღებს ისევე, როგორც გერმანიასა და ჩეხეთში.



## ლუსტრაციის კანონი – დღის წესრიგში?

მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ შარშან შეიქმნა მუშა ჯგუფი ლუსტრაციის კანონთან დაკავშირებით. მათ ჩაატარეს დიდი სამუშაო, შეხედნენ გერმანიის, ჩეხეთის, პოლონეთის კანონმდებლებს. უახლოეს დროში ლუსტრაციის კანონი შესაძლებელია განიხილოს პარლამენტმა.

ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ ლუსტრაციის კანონის საქართველოში ამოქმედება დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

## პარლამენტი სამართალდამცავი ორგანოების უკმაყოფილოა

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები საბჭოთა დროის გადმონაშთები არიან. ისინი გაუმჭვირვალე ორგანოებია და პარლამენტი მათგან ვერასოდეს ვერ იღებს სწორ ინფორმაციას. ეს კარგად გამოჩნდა ბიუჯეტის განხილვის დროს, როდესაც ვერაფრით დადგინდა, თუ რამდენი თანამშრომელი მუშაობს ამ სისტემაში. „ასეთივე მდგომარეობაა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმების დროსაც, რაც ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე“.

## რეუტი დაგვემშვიდობა

სააგენტოს კორესპონდენტი, კარგად ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ა/კ რუსეთის ჯარების დაჯგუფების სარდალი ფ.რეუტი გამოსამშვიდობებელი ვიზიტით ეწვია საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს და დღეს მან დატოვა თბილისი. როგორც ადრე ვაუწყებდით, ა/კ რუსეთის ჯარების დაჯგუფებაში შემცირებისა და დაჯგუფების შტაბის ქროსტოვში გადატანის გამო, ფ.რეუტი და დაჯგუფების გენერალიტეტი, გარკვეული დროიდან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კადრების დაქვემდებარებაში იმყოფება. (იფრინდა)

● საით მიდის საქართველო?

# გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი

ალექსანდრე ჭაჭია

შესაძლო კონფლიქტებში სამხედრო ჩარევა ამერიკელებისათვის არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად არ არის მომგებიანი, მითუმეტეს, რომ ასეთი ჩარევის უკანასკნელმა გამოცდილებამ აჩვენა მისი დაბალი ეფექტურობა: მაგალითად, სომალიში საქმე კრახით დამთავრდა, მაგრამ 300 მილიონი დოლარი დაჯდა, ხოლო ბოსნიის კრიზისი გერმანიის სასარგებლოდ გადაწყდა. ასეთ ვითარებაში, ამერიკაში სულ უფრო და უფრო ემხრობიან იმ პოზიციას, რომელიც აშშ-ს ეკავა მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს: ეომონ ევროპელები ერთმანეთს, დაიცალონ სისხლისაგან, ჩვენ კი მოვალთ ბოლოს, როდესაც სუსტებს ძლიერი „შუამავალი“ დასჭირდებათ.

ამ პროგნოზის კონტრარგუმენტად მოჰყავთ ხოლმე აშშ-ს „ნავთობის ინტერესები“: ამერიკა არ იტყვის უარს ახლო აღმოსავლეთისა და კასპიის ნავთობზეო. მაგრამ გადავხედოთ ფაქტებს. აშშ წელიწადში საჭიროებს დაახლოებით 1 მილიარდ ტონა ნავთობს, რომლისგან 1/4 შემოტანილია, მათ შორის სპარსეთის ყურედან. მაგრამ ამ ნაწილის კომპენსირება სრულიად შესაძლებელია კარიბის აუზში (მექსიკა და მექსიკის ყურე, ვენესუელა) ნავთობის ამოღების გადიდებისა და ალიასკაზე დაკონსერვებული საკუთარი საბადოების გახსნის ხარჯზე. ექსპერტთა შეფასებით ამ წყაროების გამოყენებით აშშ ნავთობით უზრუნველყოფილი იქნება 10 წლის განმავლობაში. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ევრაზია დაიცალოს სისხლისაგან.

სხვათაშორის ძალზე სიმპტომატურია, რომ აშშ-ს აქტიურობა კასპიის რეგიონში დაქვეითებულია. შემცირებულია ამერიკული ფირმების წილი ბაქოს კონსორციუმში, მათ ფირმებს არ წამოუყენებიათ სერიოზული პრეტენზია შაჰ-დენიზის კონსორციუმში წილის მიღებაზე, შესუსტდა ამერიკელების ინტერესი ყაზახეთის საბადოების დამუშავებისა და კასპიის ნავთობსადენთა კონსორციუმში მონაწილეობის მიღების მიმართ. და ბოლოს, ამერიკული გაზეთები იტყობინება, რომ* ქლინტონმა გასცა განკარგულება გაიხსნას და ექსპლუატაციისთვის მომზადდეს ნავთობის რამდენიმე საბადო ალიასკაზე.

მაშ, რა ვქნათ შექმნილ სიტუაციაში ჩვენ, ქართველებმა, თუ გვინდა ერი, საკუთარი სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ?

უპირველეს ყოვლისა საჭიროა კატეგორიულად აღმოვფხვრათ მუქთახორათა სამარცხვინო ფსიქოლოგია. აუცილებელია შევიგნოთ, რომ არავინ არაფერს ტყუილუბრალოდ არ მოგვცემს, არავისთვის, გარდა ჩვენი თავისა, ჩვენ არავითარ ფასეულობას არ წარმოვადგენთ. ჩვენთან ჩამოსული უცხოელები, „აღტაცებულები“ ჩვენი ცეკვებითა და სიმღერებით, ასევე „აღფრთოვანებულები“ არიან აფრიკის ნებისმიერ ტომში სტუმრობისას. უნდა იყო ჭეშმარიტი იდიოტი, რომ ჩათვალო თითქოს „მსოფლიოს საზოგადოება“ შეგვინახავს ქართული სიმღერის შენარჩუნებისათვის. ერს პატივს სცემენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა, განვითარება, დაცვა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ხდება ქვეყნის კოლონიზირება, ერის გაღატაკება და სურსათის სანაცვლოდ ტერიტორიის წართმევა, ნედლეულის გატანა. ამიტომ აუცილებელია ეროვნული იდეის ჩამოყალიბება და მისგან გამომდინარე სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების კონცეფტუალური მოდელის შემუშავება. ეს უნდა იყოს მოდერნიზაციული მოდელი, რომლის საფუძველზე ქვეყნის ხელმძღვანელობა ვალდებულია წამოაყენოს მკვეთრი, მთელი მოსახლეობისათვის გასაგები, საგანგებო მობილიზაციური პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი დაინტერესდება, როგორ წარმომიდგენია ეს პროექტი პირადად მე მის ეკონომიკურ, საგარეო-პოლიტიკურ და კულტურულ ნაწილში, მზად ვარ სტატიების სერიაში დაწვრილებით გავაშუქო ეს საკითხები. (უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ჩემი წინადადებისა, საქართველოს პრეზიდენტს ამ პროექტის გაცნობისადმი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია).

უდავოდ, მთავარია პროექტის რეალიზება. ამასთან დაკავშირებით კი დგება პასუხისმგებლობის საკითხი. ჩემის აზრით, თანამედროვე ქართული საზოგადოების ყველაზე საშინელი უბედურება, რომელმაც განაპირობა ყველა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ჩავარდნა – გახლავთ უპასუხისმგებლობა. გაიხსენეთ, თუ რამდენი პრემიერი, ვიცე-პრემიერი, „რეფორმატორი“ მინისტრი შეიცვალა საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, მაგრამ ვინ შეიგრძნო, მათი ოჯახის წევრების გარდა, ამ ხალხის საქმიანობის დადებითი ეფექტი? არადა ნებისმიერი აშკარად ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, ზოგ შემთხვევაში უბრალოდ სულელური გადაწყვეტილების მიღებისას ყოველი მათგანი მკერდში მუშტს იკრავდა და ჩვენი პრეზიდენტის საყვარელ სიტყვებს იმეორებდა: „პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებო“, მაგრამ დღემდე გაუგებარია, თუ რაში გამოიხატება ეს პასუხისმგებლობა და ვინ აგო ის? სად არიან დღეს ეს გოცირიძეები, კრეალიშვილები, ბასილიები და ავანტიურისტი ბალცეროვიჩის სხვა თაყვანისმცემლები, რომლებსაც ჩვენ „ქართველ ერის ხარდებად“ წარმოგვიდგენდნენ? აგებენ კი ისინი პასუხს საკუთარ ხალხზე ჩატარებულ ექსპერიმენტებზე, ველური, მძარცველური „რეფორმების“ მოსახლეობისათვის თავს მოხვევაზე, რომლის რეცეპტები გადმოწერილია გაიდარისაგან, რომელმაც თვითონ ისინი საერთაშორისო აფერისტ საქსისაგან გადმოიწერა? რა ფორმით აპირებენ პასუხისგებას დღევანდელ ვითარებაზე ახლანდელი მთავრობის წევრები და სხვა თანამედროვე „ნოვატორები“? ზოგი ელჩად დაინიშნება, ზოგი ინსტიტუტის დირექტორად, ზოგი კი პრეზიდენტის მრჩევლად.

გაიხსენეთ, რამდენი დეპუტატი ტრიალებდა ჩვენს თვალწინ ბოლო წლებში, რამდენი მავნე კანონი მიიღეს, რა არაკომპეტენტურობა, უვიცობა გამოამჟღავნეს თავიანთ „საქმიანობაში“. რომელიმე მათგანმა იკისრა პასუხისმგებლობა? მოქალაქეთა კავშირი ბოლო არჩევნების დროს ხალხს შეჰპირდა 2000 წლისათვის, ე.ი. 4 წლის განმავლობაში 1 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას. წელიწადნახევარი გავიდა, უკვე უნდა ყოფილიყო შექმნილი, როგორც მინიმუმი 350 ათასი ადგილი. ამის ნაცვლად მიმდინარეობს ყველა კატეგორიის მუშაკთა მასიური შემცირებები. როგორ აგებენ პასუხს მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელები ხალხის შეგნებული მოტყუებისათვის? ან ასეთი მაგალითი:

სად ვეძებოთ პასუხისმგებელი იმისა, რომ ქალაქ თბილისს შეურაცხყოფა მიაყენეს, აირჩიეს რა საპატიო მოქალაქედ თაღლითი და მექრთამე სობჩაკი, რომელსაც რუსეთის პრესამ ერთხმად „რუსული კორუფციის სარკე“ უწოდა?

ჯერ კიდევ შარშანწინ გაზეთ „ალიას“ მეშვეობით მე მივმართე ქართულ საზოგადოებრიობას წინადადებით, ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ კანონის მიღებას სახელმწიფო მოღვაწეთა თავიანთ საქმიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. ეს კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის მორიგი არჩევნების დროს, საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იქნება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გასული მოღვაწეობის შეფასების საკითხიც. უმრავლესობა თუ დადებითად მიიჩნევს მათი მუშაობის შედეგებს, მაშინ ყველა ამ პირს გამონაკლისის გარეშე უნდა შერჩეს ხელფასები, მანქანები, აგარაკები, თუ უნდათ, ჩვენი დროის გმირებად გამოვაცხადოთ კიდევაც. მაგრამ თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმიანობას უარყოფითად შეაფასებს, მაშინ ყველა ეს მოღვაწე დაპატიმრებულ უნდა იქნას იმავე ვადით, რა ვადითაც ისინი ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, ქონების კონფისკაციით (გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც ისევ აირჩევენ). გარწმუნებთ, რომ ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში ხელისუფლებისაკენ ლტოლვა განპირობებულ იქნება არა პირადი გამდიდრების სურვილით, არამედ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებით. ქვეყნის ხელმძღვანელობაში აღმოჩნდებიან არა თაღლითები და ქურდები, არამედ კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ შეუძლიათ უზრუნველყონ ქვეყნის განვითარება და მზად არიან თავიანთ საქმიანობაზე პასუხი აგონ.

დემოკრატია – ხალხის ხელისუფლებაა. მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ მაშინაა ხელისუფლება, როცა მის მფლობელს შეუძლია წახალისება და დასჯა. თუ ხალხს არა აქვს საშუალება მის მიერ დაქირავებული მუშაკების – ქვეყნის ხელმძღვანელობის დასჯისა, მაშ რა ხელისუფლებას ფლობს იგი?

ბუნებრივია, ჩვენი პარლამენტი თავისი ნებით ასეთ კანონს არ მიიღებს, დაიწყებენ ყვირილს, რომ „ცივილიზებულ სამყაროში“ ანალოგი არ არსებობსო; იმას კი დაივიწყებენ, რომ ცივილიზებული სამყარო არ დგას გადაშენების საფრთხის წინაშე, ჩვენ კი ვდგავართ. ე.ი. ხალხმა უნდა ხელმოწერები შეაგროვოს და მოითხოვოს ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი ასეთი კანონის მიღებას მხარს დაუჭერს. ან ჩვენ სასტიკი დასჯის მუქარით ვაიძულებთ ხელმძღვანელობას იმუშაოს ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ისინი საბოლოოდ დაშლიან ჩვენს სახელმწიფოს, გადააქცევენ ერს მათხოვართა და მაწანწალათა ბრბოდ, რომელიც ხანდახან გაიხსენებს, რომ ოდესღაც ღირსეული ერი იყო და საკუთარ მიწაზე ცხოვრობდა.

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №25,26,27.

## აშკარა ბოდვა

აშკარა ბოდვა უწოდა თურქეთის ელჩმა საქართველოში თევფიქ ოქიაუზმა რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერის სერგეი ბაბურინის საუბრებს, საქართველოს საზღვართან თურქეთის ჯარების კონცენტრირების შესახებ. სერგეი ბაბურინმა განაცხადა, რომ თურქეთმა საქართველოს საზღვართან 150 ათასი ჯარისკაცისა და 600 ტანკის დისლოცირება მოახდინა. ეს შედის ედუარდ შევარდნაძის გეგმებში, რომელსაც აფხაზეთში ნატო-ს ჯარების შეყვანა სურს. თევფიქ ოქიაუზის განცხადებით, თურქეთი არ აპირებს აფხაზეთში თავისი სამშვიდობო ძალების შეყვანას. (ბი ჯი აი)

## ევრაზიული დერეფნის ამოქმედება რეალურ სახეს ღებულობს

ფოთის ნავსადგურის პრესსამსახურის ცნობით ფოთის ნავსადგურში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა საინვესტიციო ჯგუფი, ამერიკული კორპორაცია „ლოკჰიდ მარტინის“ გენერალური მენეჯერი ჟან ფრანსუა ბედონი, ფირმა „პარექსის“ პრეზიდენტი დევიდ მილერი და ამავე ფირმის ვიცე-პრეზიდენტი ემეტ ბიარდი. მათ ახლდა საქართველოს წარმომადგენელი ბელგიაში კახა იმნაძე.

საინვესტიციო ჯგუფი დაინტერესდა ფოთის პორტის ტვირთბრუნვით, საკონტეინერო გადაზიდვებით, ნავსადგურის საკონტროლო და მართვის სისტემებით. აღნიშნული ვიზიტი მიზნად ისახავს პორტის ინფრასტრუქტურის პოტენციის განვითარებას, პერსპექტივებსა და ინვესტირების შესაძლებლობათა შესწავლას.

სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საკონტეინერო ტერმინალით. განზრახული აქვთ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიმუშაონ საქმიანი თანამშრომლობის კონკრეტული პროექტები.

ნავსადგურის ხელმძღვანელობა მოწონებით შეხვდა მათ ინიციატივას და აღნიშნა, რომ ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის წარმატებით განვითარება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევრაზიული დერეფნის რეალურ ამოქმედებას. (იფრინდა)

## პროცესი დროებითია

საქართველოს ეროვნული ბანკის ლიდერები აღნიშნავენ, რომ შიდა სავალუტო ბაზარზე შეინიშნება უცხოური ვალუტის, კერძოდ აშშ $-ის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობის ზრდა. მათი თქმით, პროცესი დროებითია და იგი უკავშირდება ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ვალუტის გადამცვლელი ჯიხურების გაუქმებას. როგორც კი ვალუტის გადაცვლის კონიუნქტურა საბოლოოდ დაასრულებს ჩამოყალიბების სტადიას, შიდა სავალუტო ბაზარზე კვლავ დამყარდება პირვანდელი მდგომარეობა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მიმდინარე კვირის ბრუნვამ 947000 აშშ $ შეადგინა. კომერციული ბანკების მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე მთლიანად ეროვნულმა ბანკმა დააკმაყოფილა. თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული ოფიციალური კურსი კვირის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა და კვირის ბოლოს 1 აშშ $ 1.291 ლარის მაჩვენებელზე დაფიქსირდა. (იფრინდა)

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „სამანიშვილის დედინაცვალი“

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

### სიძულვილი სიყვარულის წილ

ეს უკუღმართი ენება სიძულვილი გახლავთ. ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრებისაგან ერთნაირად გვემულმა ადამიანებმა, საერთო ბედის გამო, უფრო ახლოს მიიტანონ გულთან ერთმანეთის გასაჭირი, პირიქით, იმაზე გახლავან გამეცადინებული, თუ რა წაგლიჯონ და რა მოატყუონ ურთიერთს. ძმები დაოჯახების შემდეგ იყოფიან და ერთმანეთის ჯინზე ქონებას ისე ინაწილებენ, რომ ერთიც მშრალზე რჩება და მეორეც. გაიხსენეთ არისტო ქვაშავიძე. „თურმე ძმები გაყოფილან, სულ ფიცარ-ფიცარ გაუტანიათ სახლი და ახლა ორსავე, რომ მთლად აღარა აქეთ მასალა, ქე არიან ისრე უბინაოთ...“

ერთი დედმამიშვილები რომ ასე გაუბოროტდებიან ურთიერთს, რაღა იქნება უცხო ან უბრალოდ ნაცნობ ადამიანებს შორის?

სტუმრის დანახვისას პირზე სულ „მობრძანდი ბატონო“ და „შემოგევლე“ აკერიათ, მაგრამ ახლა მათ გულში ჩაიხედეთ.

– ის ვინაა, აივანზე რომ წამოჭიმულა? – უსიამოვნოდ, წარბების შეხრით შეეკითხა დათია ცოლს, სტუმრის დანახვისთანავე.

– რა ვიცი, ვიღაც სამანიშვილიაო... არისტომ მოათრია!

პლასტიკური მაგალითი ამ „კეთილშობილი“ ადამიანების ურთიერთსიძულვილისა იმ სცენაშია გამოხატული, სტუმრის საპატივსაცემოდ ქათმის დაჭერა რომ განუზრახავს მასპინძელს და წვირიანი ქათმისთვის ნასროლი ჭოლოკით, აკი სტუმარს მოსტეხს ბარძაყს. მოვუსმინოთ მწერალს: „ქათამს ისევ დასდევდნენ დასაჭერად და ამიტომ არისტო მორიდებით მიდიოდა წინ, რომ არავინ შეხვედროდა.

უეცრივ, რაღაცამ გაისისინა ჰაერში და არისტოს მძიმედ მოხვდა ჭოლოკი მარჯვენა კუნთში.

– არ მომკლა ამ ვირმა! გამწარებით წამოიძახა მან და იქვე დაეცა მიწაზე გულშეწუხებული. – აი, თქვენი რჯული, აი თქვენი!.. ოოოჰ, ოოოჰ! ქე არ მომკლეს ამ ურჯულოებმა ერთი წრიპა ქათმის გულისათვის!.. ამოგივარდათ ოჯახი! ოჰ, ოჰ, ოჰ! – ტკივილისაგან მიწაზე წრიალებდა არისტო და ორივე ხელით იზელავდა კუნთს. – თქვენ დაგწყევლოთ ღმერთმა, თქვენ შეგაჩვენოთ დამბადებელმა, ვის გაუგონია ღამეში ჭოლოკებით ქათმის დევნა! ყველაფერში უხეიროები, ყველაფერში!..“

თეძომოტეხილი და გამწარებული სტუმრის წყევლა-კრულვა შეიძლება გაიგოს კაცმა, მაგრამ ამ სასაცილო სცენას ერთობ საინტერესო ფინალი აგვირგვინებს:

– თითქოს განგებ ჩემთვის ესროლოს ამ შეჩვენებულს! – გაეცინა თვით არისტოს. – ძალიან არ გაუხარდება, რომ გეიგოს!..

„და მან გადაწყვიტა, რაც შეეძლო, ძალა დაეტანებინა თავის თავისთვის, დაეძლია ტკივილი და მასპინძლისათვის მათდა სასიხარულოდ, არ გაეგებინებინა ეს ამბავი“.

წარმოიდგინეთ ეს „მოსიყვარულე“ თანამეინახენი, მცირე ხნის შემდეგ ერთ მაგიდასთან შემომსხდარნი, ერთმანეთის „პატივისცემისა“ და „ძმობის“ მტკიცებით რომ მოიოხებენ გულს.

ყოველივე ზემოთქმულიდან კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ადამიანებს კუჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა სხვა მისია არ აწუხებთ, მათ ერთ ბედს ქვეშ ყოფნა ერთმანეთის შეჭირვების თანაზიარებად კი არ ხდის და ერთ მუშტად კი არ კრავს, არამედ, პირიქით, ერთმანეთის მტრებად აქცევს. საერთო გაჭირვებიდან თავდასახსნელად ურთიერთდახმარების ნაცვლად, ისინი ურთიერთმოტყუებითა და მტრობით არიან დაკავებულნი.

იგივე შეიძლება განზოგადდეს და ითქვას მთელი ერის შესახებაც.

### „ხსნის“ ეშმაკეული გზა

არსებობისათვის მებრძოლი და არსებობისათვის ბრძოლაში სულიერებადაკარგული ადამიანის გაბოროტება კიდევ უფრო შორს მიდის.

კლდიაშვილის გმირები ისეთ ზრახვებს გაუტაცნიათ, თითოეული მათგანი მალთუსის ნამოწაფარი გეგონებათ.

ნამდვილი ცხოვრების დროს, ადამიანური არსებობის ვითარებაში, როგორც წესი, სიცოცხლის დაბადება ღლესაწაული, სიკვდილი კი ყველაზე დიდი უბედურებაა. კლდიაშვილის სინამდვილე, როგორც ვთქვით, კარიკატურული სინამდვილეა და შესაბამისად აქ ბედნიერება-უბედურების ცნებებიც ამ სინამდვილესთან სრულ შესაბამისობაში გახლავთ.

თუ რამ საწყენი ჰქონდა ოჯახს, ეს იყო პლატონის ცოლის, მელანოს ხშირი შვილოსნობაო – ვკითხულობთ ტექსტში.

საკუთარი შვილების სიმრავლეს რომ შეუწუხებია კაცი, რაღა გასაკვირია იგი კაცობრიობის გამრავლების გამო მოსთქვამდეს.

– ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო! ხალხი მომრავლდა... ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა თვარა... – მიმართავს პლატონი ადვოკატ გვერდევანიძეს, რომელსაც, თავის მხრივ, არაფერი აქვს საწინააღმდეგო „ჩხუბით“ გაიწმინდოს ქვეყანა და მზისქვეშეთში უფრო დიდი ადგილი ხვდეს წილად.

გვერდევანიძე პირდაპირ მოსთქვამს იმის გამო, რომ „ი დალოცვილი ღმერთიც თავის მოწყალებას ჩვენზე ძველებური წესით გვიცხადებს: ხალხს ამრავლებს, ყოველ ოჯახს შვილებით ავსებს... მადლიანს თითო ოროლა შვილი დაეკლო, ამათ მაგიერათ სარჩო მიემატებია, ის არ აჯობებდა?“

ერთი სიტყვით, ადამიანებს, რომელთაც არანაირი სულიერი ორიენტირი არ გააჩნიათ, აურჩევიათ ყველაზე მარტივი გზა: არ იქნება ის – ვიქნები მე, არ იქნება ის, მექნება მისი ქონებაც, ასევე ფიქრობს პირველზე მეორე, მეორეზე მესამე და ა.შ. აქედან მოდის ის გაბოროტება და გაგულისება, რომელიც ხან ერთმანეთის ზურგსუკან დამუნათებით გამოიხატება, ხანაც დენთის კასრივით იფეთქებს ხოლმე და სრულიად უმიზეზოდ ცემა-ტყეპითა და სასიკვდილოდ გამეტებითაც კი მთავრდება.

### ღვთის შიში

ერთადერთი, რაც ოდინდელი ცხოვრების ნორმებიდან კლდიაშვილის კარიკატურულ სინამდვილეში ჯერ კიდევ შემორჩენილა, ეს არის ღვთის შიში. ვამბობთ შიშს და არა რწმენას, ვინაიდან ქრისტიანული რწმენის თვალსაზრისითაც აქ ყველაფერი თავდაყირა დგას, რადგან ღვთისმორწმუნე ადამიანებს დღენიადაგ ულვთო ფიქრები უტრიალებთ გონებაში.

მათი რწმენა არსებითად ცრურწმენაა, იმდენად, რამდენადაც, სწამთ არა ღმერთი, ვითარცა სიკეთე, არამედ ღმერთი, როგორც ზებუნებრივი ძალა, რომელიც არსებობს არა ჩვენში, არამედ განყენებულად და რომელსაც შეუძლია ჩვენი ბედის ტრიალი ან ავად ან კარგად. ეს კი ბადებს ადამიანის შიშს ღვთისადმი.

ადრე ვთქვით, რომ კლდიაშვილის გმირები უფუნქციოდ (კუჭის ფუნქციის ამარა) დარჩენილი ლუარსაბ თათქარიძის შთამომავალნი არიან, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელთ არსებობისათვის ბრძოლა ახალ დროში თავად უხდებათ. ნახეთ, როგორ ჰგავს პლატონის ფიქრები ლუარსაბისას: ლუარსაბი უშვილობის გამო შესჩიოდა არსთაგამრიგეს – არ მიპარავს, არ მიქურდია, კაცი მე არ მომიკლავს და რისთვის მსჯი შე დალოცვილო ღმერთოო. პლატონი კი ახალი სიცოცხლის მოსალოდნელი მოვლინების გამო იგივე გრძნობით მოსთქვამს: „რა დააშავა, რა აწყენია (ღმერთს ნ.გ.) ამისთანა, რომ ასეთი სასჯელი მიესაჯა? რა ქნა ისეთი, რომ ამგვარი წყრომა დაიმსახურა? რისი გულისთვის ისჯება ასე მწარედ?.. და პლატონი ყოველ თავის ნამოქმედარს, ყოველ თავის წარსულს იხსენებდა და არჩევდა, თუ რით შეეძლო განერისხა ღვთაება და გამოეწვია მისგან ისეთი მისი შეუბრალებლობა. არაფერი, სრულიად არაფერი საამისო არ უქნია. კაცი არ მოუკლავს, არ დაუჩეხია, არ უეშმაკნია ჯერეთ. ჯერეთ არც უქურდნია, არაფერი მოუპარავს, არავისთვის არაფერი არ წაურთმევია... ამ სიტყვაზე კი შედგა, შეჩერდა პლატონი... არ წაურთმევია, მაგრამ ხომ ართმევს ბრეგაძეებს, კანონიერად კი, მარა ხომ მაინც ართმევს მასზე უფრო საწყალთ, მასზე უფრო გაჭირვებულთ...“

ამ ფიქრით გულგახეთქილი პლატონი ადვოკატ გვერდევანიძესთან გაიქცა და თავად გადაიხადა დაქცეული ბრეგაძეებისათვის წასართმევი „საქრივოს“ წილი.

ამ დეტალით კარგად ჩანს იმდროინდელი საზოგადოების ყოფაში ჯერ კიდევ არსებული ღვთის შიშის გრძნობა, რაც ბოლომდე წახდენისაგან აკავებდა უფსკრულის გზაზე შემდგარ ადამიანებს.

კიდევ ერთი დეტალი. ელენესაგან შვილის დაბადება და ოჯახში ქონების მოზიარის გაჩენა არც ბეკინას სურს, მაგრამ როცა პლატონი მასთან იმ დროისათვის გაუგონარი წინადადებით მივიდა, მოხუცმა შეჰყვირა:

– ღმერთი დევიწყე, შე უბედურო?.. ღმერთი აღარ გაგახსენდა, მაგისთანა აზრები რომ თავში მოგივიდა?! მოხუცებულ კაცს მაძალებ სულის წასაწყმედი საქმე ჩავიდინო?.. ღვთის ჩასახული კაცი მოეკლა?.. გაგიჟდი, შე ღმერთგამწყრალო? რავა მეუბნები დედაკაცს მუცელი მოვაშლევინო?! რამ გაფიქრებია ამნაირი ულვთო საქმე რამ?

სამწუხაროდ, მერმინდელმა დრომ ბევრი რამ იმემკვიდრევა კლდიაშვილის მიერ აღწერილი სინამდვილიდან უკეთურების გზაზე იმ შემაკავებელი ფაქტორის გარდა, რასაც ღვთის შიში ჰქვია...

### კმაყოფილება

სულიერად ძალიან ღარიბი და სულიერად მდიდარი ადამიანები, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ერთ რამეში ერთმანეთს ჰგვანან – ერთნიცა და მეორენიც მცირედითაც კმაყოფილები არიან.

აკაკის ზნესრული პერსონაჟი გაიხსენეთ – ჰაჯი უსუბი, –

„მცირედითაც კმაყოფილი
რთულ ცხოვრების უარმყოფი“.

ახლა პლატონის ბედნიერ ყოფას მივადევნოთ თვალი, ვიდრე იგი ასეთად სთვლიდა თავს: „ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამ წამოძახილით პლატონი თავის გულითად მადლობას უცხადებდა ზეციერ მამას, რომ შემცილებელი არავინ გაუჩინა მას ღარიბ ლუკმაში. თავის ცოტაზედაც კმაყოფილი, ამ თავის მცირედითაც ბედნიერი, იგი გულმოდგინედ ურტყამდა თოხს მიწას და ოჯახში სრული კმაყოფილება სუფევდა“.

სულით ღარიბი და სამშვინველით მდიდარი პერსონაჟების კმაყოფილებას კი იმდენად განსხვავებული საფუძველი უდევს, რა სხვაობაც ჭეშმარიტ ყოფასა და კარიკატურულ ყოფას შორის გახლავთ.

ჰაჯი უსუბს და მისნაირ ზნესრულ ადამიანებს იმდენად აკმაყოფილებთ მცირედი, რამდენადაც მათი კმაყოფილებისა და ბედნიერების განსასაზღვრავად არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება ქონებრივ მონაპოვარს.

არსებობისათვის საკმარისი მატერიალური სახსარი მათთვის სავსებით უშფოთველად მისაღებია, რადგან ბედნიერების ცნება მხოლოდ სულიერ მოთხოვნილებებსა და ლტოლვებს უკავშირდება. ისინი მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რათა იცხოვრონ საკუთარი მრწამსითა და არჩევნით და ამ არჩევანის ბედნიერად დაგვირგვინების შემთხვევაში არიან ბედნიერნი.

პლატონი და პლატონის მსგავსი, საკუთარ ჯამს ჩამაცქერალი პერსონაჟები კი იმდენად არიან მცირედითაც კმაყოფილნი, რამდენადაც მათი სულია, მოთხოვნილებებია ღარიბი.

მოუთხოვნელობით მოპოვებული გულის სიმშვიდე კი იმ კაცის ხვედრია, რომელიც ცხოვრობს, რათა იარსებოს და თუ ეს არსებობა გარანტირებული აქვს, შეუძლია უშფოთველად მარცვლოს ჟამთასვლის კრიალოსანი.

ერთი სიტყვით, კლდიაშვილის გმირთა უბედურების საფუძველიც ნამდვილი უბედურების გროტესკად აღიქმება (უბედურების საფუძველია, ვთქვათ, ძმისთვის ძმის დაბადება) და ბედნიერების მათეული საზომებიც ღიმისმომგვრელია.

არადა მწერალმა სინამდვილის პაროდირება კი არ შემოგვთავაზა, მაღალმხატვრულად აღგვიწერა თვით სინამდვილე, რომელიც თავისთავად იყო გროტესკული და უხეირო, დამახინჯებული ჩრდილი ნამდვილი ცხოვრებისა. იყო და სამწუხაროდ არის.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №25,26,27.

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება „სოლომან მორბელაძის“ განხილვა

# ნიკოფსიიდან... სოღანლუღამდე?!

როგორც ყველგან, კავკასიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხების ისტორიული ბედი და უბედობაც, უპირველესად, განისაზღვრება გეოგრაფიული ფაქტორით. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ისტორიული საქართველო, - კაპადოკიიდან დაწყებული ნიკოფსიამდე. მისმა ორ ზღვას შუა არსებობამ, ევროპისა და აზიის შემაერთებელმა ტერიტორიამ, ე.წ. ფორფოსტმა, განაპირობა ის სისხლიანი ქარტეხილები, რომელიც არგუნა ისტორიამ.

ყველა დამპყრობლის გზა და ხიდი იყო საქართველო. მოდიოდნენ, მოდიოდნენ და თან მოჰქონდათ ომების ქარტეხილები: ტანჯვა, წამება, გადაგვარება, სიკვდილი. ალბათ არ არსებობს დედამიწაზე მეორე ისეთი ხალხი, რომელსაც ამდენი მსხვერპლი გაეღოს არსებობის შენარჩუნებისათვის, სამშობლოს გადარჩენისათვის. სასწაულებრივია, - როგორ მოვედით დღევანდლამდე!

ამჟამადაც იგივეა, - ისტორია მეორდება. დამპყრობელი ცდილობს საქართველოს საბოლოო განადგურებას, მოსპობას. ამ ფონზე ამაზრზენად გამოიყურება ე.წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მმართველთა საქმიანობა, მათი საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

„დაფარულად“ მძვინვარებს რუსეთი. იგი, არსებობის გახანგრძლივებისათვის, ყოველმხრივ ცდილობს კოლონიების შენარჩუნებას. ამ მიზნით, სამხედრო ძალების გარდა, ბრწყინვალედ იყენებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გამოცდილებებს, - ქვეყნის შიგნით ურთიერთდაპირისპირებას, მეზობელი ხალხების ურთიერთ წასისინებას. არ ერიდება სისხლისმღვრელ ომებს...

თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავითისა და თამარის პერიოდს, მუდმივად სხვისი გავლენის ქვეშ მყოფი საქართველო ამჟამად, ისე როგორც არასდროს, ფიზიკურად და მორალურადაც სულს ღაფავს. ტერიტორიულადაც მისი საზღვრები კაპადოკიიდან მოყოლებული ახალქალაქ-ახალციხის მიდამოებთანაა შეზღუდული.

ამჟამინდელი საქართველო წარმოადგენს რუსეთისა და თურქეთის თავისებურ საბრძოლო თეატრონს (სარბიელს). არნახული კოლონიზაციის პირობებში, რუსეთის კლანჭებში ამჟამადაც მოქცეული ქვეყანა, „ტერიტორიალური ერთიანობის“, „სუვერენული“ და „ნებაყოფლობითი“ რეჟიმის „მკაცრი დაცვით“ ასიმილაცია-გადაჯიშების არნახულ და არგაგონილ პერიოდს განიცდის, სულს ღაფავს.

შედარებით ლოიალურად იქცევა თურქეთი. საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთისაგან განსხვავებით, ყოველმხრივ ცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ეს იგრძნობა არა მარტო საქართველოს მიმართ. ამის თავისებური დასტურია თურქეთის მთავრობის მიერ ქართულ-ლაზური ენების აღიარება.

ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას უპირველესი ამოცანა: განთავისუფლდეთ რუსეთისაგან, აღვადგინოთ დამოუკიდებლობა, კეთილმეზობლური ურთიერთობა დავამყაროთ ყველასთან, - დიდ და პატარა ქვეყნებთან. ამის უპირველეს წინაპირობას წარმოადგენს ტერიტორიალური (არა მარტო აფხაზეთი და ოსეთი) საკითხების მოგვარება, - საქართველოს პირველ რიგში უნდა დაუბრუნდეს მისი კუთვნილი მიწა-წყალი, რომელიც გადაეცა რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთს.




პირველი ნომრით მინიშნებულია რსფსრ-სათვის გადაცემული მიწები სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის შეერთების მიზნით.

ამ საკითხთან დაკავშირებით მცირედი ექსკურსი: ოციან წლებში, როცა ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი ეახლა სერგო ორჯონიკიძეს თხოვნით, თავი შეეკავებინა საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების მეზობელ ქვეყნებზე გადაცემისაგან, მან ქართველი თავკაცები ასეთი პასუხით გამოისტუმრა: „თუ ამ საკითხზე მეორედ შემოსულხართ, თქვენ „ძველი საქართველოს“ საზღვრებს თბილისში ორთაჭალის „შეითან ბაზართან“ გადმოვიტანო“. ვერ ვუსაყვედურებთ, მან შეასრულა კიდეც დაპირება. საქართველო ჯერ დაჰყო, შემდეგ კი ტერიტორიები ნაწილ-ნაწილ გადასცა რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთს (იხილეთ აქვე გამოქვეყნებული რუქები).

ყოველივე ეს განაპირობა დამპყრობლის უმთავრესმა მიზანმა, - საბჭოთა იმპერიის შექმნამ, მისმა სახელმწიფოებრივმა სისტემამ, - შეენარჩუნებია მეფის რუსეთში შემავალი ხალხები და, ჯარითა და ადგილობრივი მარიონეტული მთავრობის დახმარებით, მოეხდინა მათი დამორჩილება (იგივე პროცესია ამჟამადაც, შედარებით შენიღბულ ფორმებში).

იგულისხმება, რომ საბჭოთა რუსეთი, თავის სასარგებლოდ, ყოველთვის ანგარიშს უწევდა როგორც აღმოსავლეთის, ისე ევროპის ქვეყნების ინტერესებსაც კავკასიაში. ამიტომაც მიდიოდა ისეთ „დათმობებზე“, როგორიცაა თუნდაც, ლენინისა და ათა თურქის შეთანხმებაზე, თურქეთზე ქართული მიწა-წყლის გადაცემა. ამას ემსახურებოდა რუსეთის იმდროინდელი საგარეო პოლიტიკა, მისი დაპყრობითი გეგმები. ამ პროცესთან იყო (და არის ამჟამადაც) დაკავშირებული ქვეყნის შიგნით ყველა „ნაციონალისტ“ მოწინააღმდეგეების დათრგუნვა-განადგურება...

- *„პროლეტარიატისათვის, თუ იგი ერთგულია კარლ მარქსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა“, საერთოდ არ არსებობს არავითარი სამშობლო“.* ამ ლოზუნგის რეალიზაციისათვის მოვუსმინოთ რუსეთის მარიონეტებს, უპირველესად ფ.მახარაძეს და ს.ორჯონიკიძეს, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარ „ეროვნულს“, ყოველგვარ „ქართულს“.

ს.ორჯონიკიძე: „ქართველი ხალხი საქართველოში გაბატონებული ერია და მან უნდა დაამტკიცოს, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება იმ პატარა ერების მიმართ, რომლებიც საქართველოში არიან დასახლებულნი - აჭარის, აფხაზეთის და ოსეთის მიმართ“ (როგორია, - აჭარა სხვა ერის კატეგორიაში?! - ვგ.); „არაფრად არ ვარგა, როდესაც ნაც.უმცირესობებს, ესა თუ ის ქალალდი ეგზავნებათ ქართულ ენაზე- ერის დიდმპყრობლობის ასეთი გამოვლინება შეუწყნარებელია“ („პრავდა გრუზიი“,



მე-3 ნომრით აღნიშნულია ტერიტორია, რომელიც გადაეცა სომხეთს.

1922 წლის 3 თებერვალი); „საქართველოში ერთა და ტომთა შედარებითი მრავალრიცხოვნობა, სიჭრელე და ერთმანეთში არევა პირობებს ქმნის ადმინისტრაციულად კიდევ უფრო გამიჯვნისათვის... როგორც მაგალითად, მუსლიმანური მოსახლეობა ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში“ (საქართველოს კპ პირველი ყრილობის რეზოლუციიდან); „კომუნისტებისათვის, ქართველისა თუ აზერბაიჯანელისათვის, ყოველი საბჭოთა ქვეყანა უნდა წარმოადგენდეს სამშობლოს. ქართველი კომუნისტისათვის სომხეთი ისეთსავე სამშობლოს უნდა წარმოადგენდეს, როგორც საქართველო, ხოლო ამიერკავკასიის ყველა კომუნისტისათვის, - საბჭოთა რუსეთი“ („ამიერკავკასიის ბოლშევიკები ნაციონალიზმთან ბრძოლაში“, იხ.კრებული, თბ., 1937 წ., გვ 16/9); „ინტელიგენცია, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობით თავადურ-აზნაურულ-ვაჭრულ-მღვდლური ინტელიგენციაა, დღემდის ვერ შერიგებია ოქტომბერს... ისინი მთლიანად უნდა განადგურდნენ“.

ორიოდე ფაქტიც ს.ორჯონიკიძის ხელგაშლილობისა: როცა საქართველო დაჰყო ავტონომიურ ერთეულებად, - 1921 წლის 12 მაისში გამოჰყო აფხაზეთის რესპუბლიკა, იმავე წლის 16 აგვისტოს - აჭარის რესპუბლიკა, 1922 წლის 29 აპრილს სამხრეთ ოსეთი. როცა საქართველოს ჩამოაჭრა უძველესი მისი ტერიტორიები და გადასცა მეზობლებს, შემდეგ მიზნად დაისახა ახალი „ინტერნაციონალური“ მისია: მან ხელგაშლით კარი გაუღო და შემოიპატიჟა როგორც თურქეთში თათარ-სომეხთა ჟლეტას გადარჩენილები, ისე კავკასიის სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კარზე მომდგარი ძირითადად სომეხი ლტოლვილები. სომხეთის მთავრობამ კატეგორიულად აკრძალა სომეხთა სამშობლოში მათი მიღება (ჩრდილო კავკასიიდან - 150 ათასი, ხოლო თურქეთიდან - 10 ათასზე მეტი) და ისინი დაასახლა ქ.ბათუმსა და ზღვისპირეთში. ს.ორჯონიკიძისავე ბრძანებით ლტოლვილთა დიდი ნაწილი ჩაასახლეს ახალციხესა და მის შემოგარენში.

გავიხსენოთ ისიც, თუ როგორ შემოუძღვნენ ს.ორჯონიკიძე და ფ.მახარაძე რუსეთის ჯარს. - „დიახ, ჩვენ არ ვმალავთ. პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი, ის ჯარი, რომელიც საუკეთესო დამცველია მშრომელებისა და მუშების ინტერესების... ჩვენ მოუძღოდით მათ. ნურავის ჰგონია, რომ ისინი თავის ძალა-უფლებით მოქმედობენ. ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დასტოვებენ საქართველოს“ (თუ როგორ „სტოვებენ“ ისინი საქართველოს, ამის დასტურია ამჟამადაც „იმელის“ შენობაში თვით პარლამენტის წევრთა ჯგუფის საშიმშილო გაფიცვა, - არათუ მთლიანად საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანისათვის, არამედ აფხაზეთში მდგარი „სამშვიდობო“ ნაწილების იქიდან მოშორებისათვის, რათა შესაძლებლობა მიეცეს 300 ათას გამოდევნილს, დაუბრუნდნენ საკუთარ მიწა-წყალს, საკუთარ სახლებს, - ვგ.). „ამბობენ თითქოს აქ იმისთვის მოვსულიყვეთ, - აგრძელებს ფ.მახარაძე, - რომ მოესპოთ საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა, ცილის წამებაა. დიახ, ჩვენ ვსპობთ მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიცავთ საქართველოს მუშებისა და ყველა მშრომელების დამოუკიდებლობას“ (ფ.მახარაძის 1921 წლის 13 მარტს ნაძალადევის თეატრში წარმოთქმული სიტყვიდან).

როგორ ესმოდა, როგორ აფასებდა ფ.მახარაძე ქართველი ერის, მისი კულტურის ისტორიას?

- „არიან ისეთი ხალხნი, თითქოს ისტორიის მიერ დასჯილნი და გაუბედურებულნი, რომელსაც არ ყოლიათ გენიოსი მწერლები თუ ხელოვნების წარმომადგენლები და რომლებსაც თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუვლიათ არც ერთი ბრწყინვალე ხანა... ვინც ჩვენს ისტორიას გაეცნობა, იგი დარწმუნდება, რომ ასეთი ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრება წარსულში“ (ფ.მახარაძე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, ქუთაისი, 1903 წ., გვ 4-6).

აი, ასე აფასებდა ფ.მახარაძე და მისი ბრბო ჩვენს ისტორიას, მის ღირსეულ წინაპრებს, სხვებს რომ თავი



პირველი ნომრით მინიშნებულია ნიკოფსიის რუსეთზე გადაცემული ტერიტორია. აქ არ არის ნაჩვენები სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს ქლუხორის რაიონი და სვანეთის ნაწილის ტერიტორია, რომელიც მიეკუთვნა რსფსრ-ის სტავროპოლის მხარეს.

გავანებოთ, თვით თამარსაც და რუსთაველსაც. ამიტომაც ეჯაერებოდა ფ.მახარაძეს ილია ჭავჭავაძეც და მისი „ძველი საქართველო“. მისი სიტყვებია: „დიახ, გვეჯაერება მთელი წარსული და არა რომელიმე მხარე, რადგან ჩვენის შეხედულებით, წარსულის ყველა მხარე იყო მონობის გამოხატულება“ (გაზეთი „ჩვენი გზა“, 1907, 5 სექტემბერი).

აი, ვინ ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა საქართველოს, აი, ვის ხელში იყო ქართული ერის სადავეები, აი ვინ მოსპო სულიერად და ფიზიკურად ქართველი ინტელიგენცია, ქართველი ხალხი. აი ვინ აღგავა პირისაგან მიწისა ეროვნული კულტურა ოციან და ოცდაათიან წლებში. აი, ვინ დაშალა და დააქუცმაცა ჩვენი ქვეყანა! ეს უნდა იცოდეს ყველამ! ისინი მარტონი არ ყოფილან! მათ ჰყავდათ კრემლიდან მბრძანებლები და აქ პირსისხლიანი შემსრულებლები. მათ დღესაც ჰყავთ მემკვიდრეები!

ცნობად: საქართველოს მიწების სხვა სახელმწიფოებზე გადაცემისა და ქვეყნის შიგნით ტერიტორიალური ცვლილებების შესახებ უახლოესი ხანის ისტორიის სახელმწიფო არქივში დაცულია მრავალი საარქივო დოკუმენტი, რუკებით, რომლებიც კონცენტრირებული იყო ე.წ. „საიდუმლო ფონდში“. ამჟამად დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ამ მასალებს.

ვახტანგ გურგენიძე
მარტი, 1997 წელი.



მე-2 რიცხვით აღნიშნულია აზერბაიჯანზე გადაცემული საინგილო და გარეჯის უდაბნო.



ვ.ი.ლენინისა და ჯემალ ფაშა ათათურქის მორიგებით თურქეთზე გადაცემული ქართული ტერიტორიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში ტტაბიძეზე კერძო ბინა. საერთო ფართი 215 კვმ, საცხოვრებელი ფართი 120 კვმ, ეზოს ფართობი 1500 კვმ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-21-75; 29-09-37

იყიდება 4 ოთახიანი არასტანდარტული ბინა საერთო ფართით 220 კვმ, საბურთალოს ცენტრში, რემონტით, სარდაფით, ტელეფონით და მანქანის სადგომით, ტელ. 37-77-50

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გადაკეთებული სამად თემქის III მ/რ-ნი რემონტით, III სართულზე ფასი 7000 დოლარი. ტელ. 99-43-98

იყიდება ერთსართულიანი კერძო სახლი, ეზოში რამოდენიმე ოთახით, დიდი ხეხილის ბაღით. საერთო ფართი 700 კვმ, წყალი და ელექტროენერგია მუდმივად. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ. 74-45-87

იყიდება 4,5 ოთახიანი ბინა, გადაკეთებული 3,5, უახლესი ევროპული სტანდარტების რემონტით, ფართე აივნით, ოვალური ჰოლით, კარადებით და სხვა სათავსოებით, ტელეფონით, ავტოსადგომით. 9 სართულიანი სახლის მე-5 სართულზე, მეტროსთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. მის. გლდანის I მ/რ, მე-3 კორპ. ტელ. 93-57-18 20 საათამდე, საღამოს 23-21-72 დათო

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა, იტალიური სტილის ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე. ოთახების ფართი 60 კვმ, მაღალი ჭერით, წინამძღვრიშვილის 182. დეზერტირების ბაზართან. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34-30-71

იყიდება სამსართულიანი სამხატვრო სახელოსნო, გამრეკელის ქუჩაზე, აუზით და ბუხრით, ნახევრად გარემონტებული. ფასი 80000 დოლარი. ტელ. 95-32-30 დათო.

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის III მ/რ IV კვ. II კორპ. 18 სართულიანის მე-16 სართულზე. ტელეფონით, ორი ლოჯით. ფასი 9000 დოლარი ტელ. 98-74-77

იყიდება საკუთარი ეზოიანი ერთსართულიანი სახლი მეტრო „ისანთან". დოდაშვილის ქ. №34-ში. იკითხეთ ვალიკო, მალხაზი. ფასი შეთანხმებით.

## სხვადასხვა

სასწრაფოდ იყიდება თეთრი ფერის მასიური ხის სამზარეულო, ახალი, შეფუთულ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 700 დოლარი. ტელ. 68-82-09

იყიდება არაბული ჭაღი 18 სანთლიანი, გერმანული სერვიზი თეთრი კობალტის. ტელ. 66-06-96

გირავდება 1 წლით ერთოთახიანი იზოლირებული ბინა მეტრო „გურამიშვილის" თავზე, ტელეფონით, ფასი 1500$ ტელ. 66-96-19 (15 სთ-ის შემდეგ).

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას სწრაფი მეთოდით. მეცადინეობა კვირაში სამჯერ. ფასი 15 ლარი, მსურველებს დავეხმარები სინთეზატორის დაუფლებაში. ტელ. 29-44-61

იყიდება ოდნავ ნახმარი სარეცხი მანქანა „ოკა", შეღავათიან ფასში. ტელ. 29-35-02

ყველაზე სწრაფად და იაფად ვყიდით და ვამონტაჟებთ შიდა ჟალუზებს (მზის საწინააღმდეგო ფარდებს). მოგვმართეთ ტელეფონზე: 23-20-02 აკაკი

ფურგუნ-მოსკვიჩით მოვემსახურებით ნებისმიერ ორგანიზაციას. ტელ. 23-18-20

იყიდება კაკლის მურაბა (600 გრ.) 3500 ცალი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-18-20

## ავტომანქანა

იყიდება თეთრი ფერის ორკარიანი „ბმვ-316". ლუქით. კარგ მდგომარეობაში. ფასი 3000 დოლარი. ტელ. 96-69-75

## ვმკურნალობ

მასაჟისტი შემოგთავაზებთ თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის როგორც სამკურნალო, ასევე გამაკაჟებელ მასაჟების კურსს. აგრეთვე მათ, ვისაც აწუხებს ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სახსრების ტკივილი, სკოლიოზი და სხვ. ტელ. 74-19-54 მაია.

## ქირავდება

ქირავდება ვერაზე მელიქიშვილის ქუჩა №23, ოფისისათვის ან კომერციული საქმიანობისათვის, ლამაზი სახლის პირველი სართული. 4 მაღალჭერიანი ოთახით, სასაწყობო ფართით და აბაზანით, საერთო ფართი 100 კვმ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-52-54 ბელა

ქირავდება (უცხოელებისათვის) 2 ოთახიანი ბინა, მე-2 სართულზე, ჭავჭავაძის პროსპექტი №8, რემონტით. ფასი 300 დოლარი. ტელ. 23-20-60 ეთერი

ვაქირავებ კანდელაკის 31-ში კერძო ბინის ორ ოთახს პირველ სართულზე ოფისისათვის (შეიძლება გაქირავდეს ოჯახზეც), ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-68-88

ვაქირავებ 3 ოთახიან ბინას ავეჯით, ტელეფონით. გლდანის გზატკეცილზე. ქერჩის ქ. №1-ში. 9 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე, ფასი 100 დოლარი. ტელ. 95-02-90 გოგი

ვაქირავებ სამოთახიანი ბინის 1 ოთახს მეტრო „პოლიტექნიკურთან", მე-3 სართული ტელ. 36-15-60

## მილოცვა

**მარიკა ასაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე დიდი გოგო. გკოცნი ნინო.

უმშვენიერეს, დასევდიანებულ დებს **ქეთი და რუსო ადეიშვილებს** ვულოცავთ დაბადების დღეს!

გაგეხარებინოთ ნაირა დედიკო და ყველასთვის გულდასაწყვეტი დათო მამიკო – იმქვეყნად.

სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ მომავალში.

გკოცნით ქეთევან ჩხენკელი

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე,
93-18-41

# არა, ამას უშენობა არ ჰქვია!

## ახალგაზრდა მწერლისა და მხატვრის ნუგზარ ლორთქიფანიძის ხსოვნას

ხშირად გადამივლია თვალი ნეკროლოგებისთვის და წამიკითხავს: „შენ ჩვენთანა ხარ". მიკვირდა თუ როგორ შეიძლება მიცვალებული შენთან იყოს, სანამ საკუთარ თავზე არ განვიცადე.

ნუგზარ, ზოგჯერ გწერ ხოლმე, მაგრამ ვაი ამ წერას – ცრემლები მახრჩობს, შინაგანად რაღაცა მწვავს. შენ ისევ ჩემს თვალწინ ხარ.

მე ვერასოდეს წარმოვიდგენ, რომ ოდესღაც დოლიძის ქუჩის რომელიმე კუთხიდან არ დამიძახებ შენთვის ჩვეული რიხიანი ხმით: „მამი, როგორ ხარ?" და ამიტომაცაა ალბათ, რომ მსგავსი ხმები არ მასვენებენ ქუჩაში... და რა ვიცოდი, ყველაზე ძალიან თურმე შენ გიჭირდა და ყველაზე ძალიან თურმე შენ არ შეგძლებია საკუთარი თავის შველა.

ნუგზარი არ მომკვდარა! ნუგზარი გარდაიცვალა. მისმა არსებობამ ფორმა იცვალა...

აკი წერდი კიდეც:

წავალ, მიწაში ჩავიტან
ფესვებს
მოვევლინები მამულს
ვენახად–

თუ აქამდე არ მწამდა, ეხლა უნდა ვიწამო ღმერთიც და სასწაულებიც. ეხლა უნდა ვიწამო სული, თორემ ვინ თქვა, სად გაგონილა, რომ ასე უკვალოდ ქრებოდეს სპეტაკი სული, კეთილი შემოქმედი.

იყო და აღარ არის – არა! არა! არა! აქ შეიძლება გაგიჟდეს ადამიანი. ო, ო, ო დიდო ღმერთო, მუხლმოყრილი გევედრები, მომეც რწმენა შენი.

როგორ ვერ მოერიე ამ ვერაგ ცხოვრებას, რატომ დაიღალე ნაადრევად, რატომ გადაეთელეინე ამ ბინძურ ყოფიერებას. სადღაა შენი ლამაზი გული, შენი თავადური მზერა. არა! შენისთანა სპეტაკები ამ საშინელ ცხოვრებაში საერთოდ არ უნდა იბადებოდნენ...

მაპატიოს ჩემმა უსაყვარლესმა და უტკბესმა მზეონა დეიდამ, რომ ველარ ენახულობ. არ შემიძლია დავაკაკუნო იქ, სადაც შენი ღიმილი არ შემრჩება მზის გამონათებასავით.

მახსოვს, ოქტომბრის თვეში ლექსების კრებული გამოვიდა შენი. გიხაროდა.

– აბა, შეხედე, როგორია? – მკითხე – „ნუგზარ ლორთქიფანიძე" – „ოცნების კუნძული".

მერე ავტოგრაფიც მიაწერე: „იყავი ბედნიერი. სიყვარულით ნუგზარ ლორთქიფანიძე".

ჩავიკითხე და გულში თითქოს რაღაც ჩამწყდაო – შენ მე მემშვიდობებოდი.

მართლაც ასე მოხდა, იმ ავადსახსენებელ დეკემბერში, ცხოვრება შენთვის მართლაც რომ „ოცნების კუნძულად" დარჩა...

ამ მზისქვეშეთში შენნაირი დიდბუნებოვანი ადამიანები ზედმეტნი ხდებიან ხოლმე. დიდ ბავშვს გეძახდი შენს იმ პიროვნულ თვისებათა გამო, რაც ასე მწარედ



გვაკლია თითოეულ ჩვენთაგანს.

მე შენდამი წრფელი, ბავშვური განცდა მქონდა და მიუხედავად შენი იშვიათი მამაკაცური ღირსებებისა, იშვიათი გარეგნობისა, მე შენში ადამიანი მიყვარდა, ადამიანს ვაფასებდი. აქ იმასაც გეტყვი, რომ იყო ჩემში ისეთი განცდა, რომ შენში მთელი სამყარო იყო თავმოყრილი.

ეს მარტო ლამაზი სიტყვები არ არის. ამას მაშინ მე თვითონაც კი ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ ეხლა მივხვდი: ღმერთი ხომ იგივე სიკეთეა, სამყარო ღმერთის ანუ სიკეთის შემოქმედია და ყოველნაირი თეოფანიები ანუ ღმერთის გამოვლინებანი სამყაროში სიკეთის ანარეკლებია ამიტომაც იყო, რომ მე შენში მთელ სამყაროს ანუ მთელი სამყაროს სიკეთეს ვაერთიანებდი.

თათია ბერიძე

## რა, როდის და რომელ არხზე

### 22 მარტი, შაბათი

9.00 „ცხრიდან თორმეტამდე" – შემეცნებით-გასართობი პროგრამა. 12.00 მოამბე. „XXI". მხატვრული ფილმი „განკიცხულნი". სიმფონიური მუსიკის კონცერტი. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტალი „სისხლიანი ქორწილი". 18.00 „მოამბე". საქართველოს კონსტიტუცია. 20.00 „მოამბე". 20.35 „ვიდეოპატრული 02" 20.45 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". სტუდია „მაესტრო". 22.35 „ილუზიონი". მხატვრული ფილმი „ზიარება". „ქვიშის საათი".

19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო". 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.20 ამერიკული მხატვრული ფილმი „წვიმის კაცი" (მთ.როლებში: დასტინ ჰოფმანი და ტომ კრუზი). პროგრამის დასასრულს – კონცერტი.

9.45 მხატვრული ფილმი „შეიარაღებულია და ძალზე სახიფათო". 11.25 მულტსერიალი. 11.45 საოჯახო ბიბლიოთეკა. 12.00, 17.00, 20.00 ნოვოსტი. 12.10 მოძღვრის სიტყვა. 12.30 პირი ნუ დაგიღია! 13.00 დილის ფოსტა. 13.35 სმაკი. 13.55 ფილმი „ბომბი". 14.25 მხატვრული ფილმი „მწვანე კარეტა". 16.25 აშკარა-დაუჯერებელი. 16.55, 23.50 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტფილმები. 18.10 მიწვევა მუსიკასთან. 18.25 ცხოველთა სამყაროში. 19.15 ისტორიის ბორბალი. 20.25 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტრანსლაცია შვეიცარიიდან. 20.35 ამინდი. 21.40 ტელესერიალი „სიამაყე და თავდაჯერებულობა". 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.55 კინოკომედია „გოგონები". 1.55 კალამბური. 1.30 მხატვრული ფილმი „წითელი ფეხსაცმელი".

10.00 მულტფილმები. 10.20 ტელესერიალი „უსიერი ჯუნგლების საიდუმლოება". 11.10 ტი-მარკეტი. 11.20 კლუბი „ადრენალინი". 11.35 მემორინა. 12.00 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 12.45 ჩვენი ბაღი. 13.00 ვესტი თერთმეტზე. 13.30 საპარლამენტო კვირა. 14.15 რომანსიადა-97. 14.30 ენბეას საუკეთესო მატჩები. 15.30 ანონიმი თანამოსაუბრენი. 16.00 ცნობები... 16.20 ტელესერიალი „დაპირისპირება". 17.05 დიალოგები ცხოველებზე. 17.30 ეჟეტუშენკოს პროგრამა. 18.00 უსასრულო მოგზაურობა. 18.50 ბნელი ლ.სმირიაგინისთვის. 18.45 რუსეთის ტელევიზიის შაბათის საღამო. 18.55 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „ცსკა" (მოსკოვი)–„ალანია" (ვლადიკავკაზი). 20.55 ანშლაგი და K. 22.00 ვესტი. 22.35 მწვავე თემა. 22.50 კინოკომედია „სამი გაქცეული". 00.35 ხვალის ამინდი. 00.40 ერთი ყველას წინააღმდეგ. 00.55 სრულიად საიდუმლოდ. 1.50 შოუ „სიტუაცია". 2.05 რეპორტიორი. 2.20 პროგრამა „A". 3.15 სახელგანთქმულ დეტექტივთა კლუბი. 3.45 კინოკომედია „ორმოცდაათი ორმოცდაათზე".

10.00, 14.00, 18.00, 21.00, 00.00 სევოდნია. 10.5 კარდანის ლილვი. 10.40 დღის ახალი ამბები. 10.50 გაზეთების მიმოხილვა. 11.10 რეტრო-ნოვოსტი. 11.20 საამური ცხოვრება. 11.30 გარემო. 11.45 ცინცხალი ახალი ამბები. 12.00 მულტსერიალი. 12.30 ტელეთამაში. 13.00 „ტარზანი". 13.45 მულტფილმი. 14.20 „შინელი №5". 14.35 დღის ახალი ამბები. 14.45 კომპიუტერი. 15.00 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. 17.30 პანორამა. 18.20 უპალსტუხოდ. 18.40 გულწრფელი აღსარება. 19.00 რუსული ალბომი. 19.30 მულტსერიალი. 20.00 „ჩ"-ს საათი. 20.30 დოგ-შოუ. 21.30 დოკუმენტური სერიალი „XX საუკუნე რუსული საიდუმლოებანი". 22.00 მხატვრული ფილმი „ქირავდება ბავშვი". 23.45 თოჯინები. 00.45 ნამედნი-64. 1.30 ენებების იმპერია. 2.10 რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ტურები. 3.00 მესამე თვალი. 3.30 ფლეიბოი.

### 23 მარტი, კვირა

9.00 „ცხრიდან თორმეტამდე" – შემეცნებით-გასართობი პროგრამა. 12.00 მოამბე. სპა. რეიტინგი. მხატვრული ფილმი „ტერნერი და ჰუდში". სპორტული პროგრამა. „საბავშვო სტუდია" გთავაზობთ. ტელე-სინე-ვიდეო. 18.00 „მოამბე". მოზაიკა. აფხაზეთის ტელევიზია. საგანძური. ინტელექტკლუბი. ენერგია. „როდის". 21.00 „მსგეფსი". 21.50 „ვიდეოპატრული 02". 22.00 სპორტლოტო. სატელევიზიო კინოდარბაზი. 23.50 „ქვიშის საათი".

19.00 „ტაიმ-აუტი". 19.30 მულტფილმები. სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი. „ვარსკვლავები გვამცნობენ". 21.55 „ტაიმ-აუტი". 22.15 რეკლამა. 22.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „კლდე" (მთ.როლებში: შონ კონერი და ნიკოლოზ კეიჯი). პროგრამის დასასრულს – კონცერტი.

10.00 მხატვრული ფილმი „თემური და მისი რაზმი". 11.20 მულტფილმები. 12.00, 17.00, 3.15 ნოვოსტი. 12.15 უგზოუკვლო ჩანაწერები. 12.30 სანამ ყველა შინაა. 13.10 დილის ვარსკვლავი. 14.00 ვემსახურები რუსეთს! 14.30 დაუკარ, გარმონო! 14.55 პროვინციული ისტორიები. 15.25 „კუსტოს გუნდის წყალქვეშა ოდისეა". 16.20 სმეხოპანორამა. 16.55, 23.35, 3.25 გადაცემათა პროგრამა. 17.20 ტრეტიაკოვკა. 17.40 სიმფონიური საიდუმლოებანი. 18.10 მოგზაურთა კლუბი. 19.00 მულტფეიერვერკი. 19.45 ერთი ერთზე. 20.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტრანსლაცია შვეიცარიიდან. 21.50 ამინდი. 21.55 ტელესერიალი „სიამაყე და თავდაჯერებულობა". 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „კაზინო". 2.45 საფეხბურთო მიმოხილვა.

10.00 მულტფილმი. 10.40 ტელესერიალი „უსიერი ჯუნგლების საიდუმლოებანი". 11.30 ლატარიის სიახლენი. 11.45 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 12.25 წითელი წიგნი. 12.40 ფიცი. 13.10 ჯანმრთელობა. 13.15 რუსული ლოტო. 13.55 მოდა. 14.00 წიგნის ფარდული. 14.25 პილიგრიმი. 14.50 მღერიან დრამატული მსახიობები. 15.15 ადამიანი მიწაზე. 15.40 არაფერი, გარდა... 16.00 ვესტი. 16.20 ტელესერიალი „დაპირისპირება". 17.15 კულტურის ბაღი. 17.40 გამოსამშვიდობებელი გასტროლი: იოსიფ კობზონი. 17.55 21-ე კაბინეტი. 18.20 ბორის პასტერნაკი. 19.10 დისნეის ჯადოსნური სამყარო. 20.05 კარაოკე რუსულად. 20.35 საერთაშორისო მიმოხილვა. 21.15 ტელესკოპი. 22.00 სარკე. 23.00 ხვალის ამინდი. 23.05 რეპორტაჟი არაფერზე. 23.20 მხატვრული ფილმი „ყუბანელი კაზაკები". 1.15 K-2 წარმოგიდგენთ. 2.10 ყველას პირზე აკერია. 2.25 ქსიუშასთან. 2.55 რექ-თაიმი.

10.00, 14.00, 18.00, 21.00 სევოდნია. 10.20 დღის ახალი ამბები. 10.35 კულტსაგანმანათლებლო პროგრამა. 10.50 რეპორტიორთა ალბომი. 11.15 რეტრო-ნოვოსტი. 11.25 გამოსადეგი. 11.40 გარემო. 12.00 ბალღის ბაგეთაგან. 12.30 ტელეთამაში. 13.00 „ტარზანი". 13.45 მულტფილმი. 14.20 მიწის ექვსი მეასედი. 14.35 კაპიტალი. 14.45 დღის ახალი ამბები. 15.00 წიგნის მაღაზია. 15.30 კინოკომედია „აბობოქრებული ზღვა". 17.10 რუსული ალბომი. 17.30 ჩვენებური თამაში. 18.20 კრიმინალი. 18.40 საგაზეთო რეიტინგი. 19.00 მხატვრული ფილმი „აღმოსავლეთის ოსტატი". 20.30 ნ.ფომენკოს საკვირაო გადაცემა 21.30 დოკუმენტური სერიალი „XX საუკუნე რუსული საიდუმლოებანი". 22.00 ტელესერიალი „განგსტერული ქრონიკები: ამერიკული ისტორია". 23.00 იტოგი. 00.10 მხატვრული ფილმი „კობრა". 2.00 ვიდეოკლიპების ფესტივალი. 3.40 მსოფლიოს ეროტიული შოუ.

# ლატარეა ყველასათვის

## 21 მარტს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – №328245;
1000 ლარი – №508701;
900 ლარი – №214123;
800 ლარი – №496619;
700 ლარი – №685881;
600 ლარი – №739218;
500 ლარი – №453182;
400 ლარი – №430429;
300 ლარი – №358905;
200 ლარი – №735294;
100 ლარი – №209816;
90 ლარი – *84315;
80 ლარი – *30683;
70 ლარი – *28872;
60 ლარი – *88073;
50 ლარი – *66678;
40 ლარი – *11212;
30 ლარი – *26108;
25 ლარი – *98137;
20 ლარი – *71921;
10 ლარი – ***808;
10 ლარი – ***845;
10 ლარი – ***467;
10 ლარი – ***478;
10 ლარი – ***647.

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეთერთმეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XI ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6381** გათამაშებაზე შეუძლიათ 28 მარტს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **გაზ-31** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№484608**

# ფათერაქების მაძიებელ ტურისტებს ჩვენი ქვეყანა მიიზიდავს...

„საქტურმა“ და მისმა პარტნიორმა გერმანიაში „ერკა-რაიზენ“-მა ჟურნალისტებისათვის მოაწყვს პრესკონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იქნა ახალი სამოგზაურო კატალოგი. შეხვედრა გერმანული სიზუსტით დაიწყო. „ერკა-როზენი“-ს დამაარსებელმა, რაინერ კაუფმანმა (რომელიც პროფესიით ჟურნალისტი, დრამატურგი და ბადენ-ბადენის ტელევიზიის თანამშრომელია) ჟურნალისტებს მოუთხრო ტურისტული ფირმის მოღვაწეობის შესახებ. „ხუთი წლის წინ დავიწყე მოგზაურობა საქართველოში. ეს ის პერიოდი იყო, როცა არათუ მოგზაურობა, არამედ გადაადგილებაც კი საფრთხილო იყო. მრავალი შეხვედრებისა და მოგზაურობის შემდეგ გამოვეცი კატალოგი, რომელიც აცნობს ტურიზმის მოყვარულთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, მის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ძეგლებს. კატალოგი სამი კვირაა რაც გამოვიდა და უკვე 1800 კაცია დაინტერესებული. დაგეგმილია მისი სხვადასხვა ენაზე გამოცემა და დარიგება სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ტურისტების მოზიდვის საშუალებას მოგვცემს. საქართველო ძალიან მდიდარი ლანდშაფტის ქვეყანაა, ამას გამოყენება უნდა. „უცხოელი ცდილობს შევბულება გაატაროს შინაარსიანად. ბევრ მათგანს აინტერესებს ე.წ. სათავგადასავლო ტურიზმი, მას შეუძლია უარი თქვას კომფორტზე, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია ახალი გარემო, ხეტიალი ბუნებაში. ჩვენ გავაცანით კატალოგი დიდ გერმანულ ტურისტულ ფირმებს, რომლებმაც დიდი დაინტერესება გამოთქვეს და თანამშრომლობის სურვილიც გამოხატეს.

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა კოტე სალიამ ვრცლად ისაუბრა ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობაზე. „სამწუხაროდ, ბევრს უჭირს ამ პოტენციალის გათვითცნობიერება. საქართველოში იმდენად მრავალფეროვანი ბუნებაა, რომ მას არ სჭირდება ტურისტების მოზიდვა. ესპანეთში თავის დროზე ჩავიდა 100 ინგლისელი „რიჩმენი“, რომლებმაც აიშენეს ვილები დასასვენებლად, შემდეგ ჩადეს ინვესტიციები და ახლა 20 მილიონზე მეტი ტურისტი ჩადის ყოველწლიურად. ეს მაგალითი უნდა გახდეს ინვესტორებისათვის. რაინერის საქმიანობაც ტურიზმის პოტენციალის ამოქმედებას ემსახურება. ტურიზმი რომ ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, ამისთვის ეს მაგალითიც კმარა. თითოეული ტურისტი 3-4 დღის განმავლობაში ხარჯავს 300-დან 1500 დოლარამდე, გარდა იმ ხარჯებისა, რაც არის სასტუმრო და თვითონ ტური რესტორანში.

კაზინოში, ბაზარში დახარჯული თანხა, რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკას გამოადგება. ამასთან სასტუმროების, რესტორნებისა და კაზინოების გახსნა დამატებით სამუშაო ადგილს შექმნის და მოსახლეობაც დასაქმდება.

ხათუნა აბაზაძე

# კაიფვორდი



**მდგომიარედ:** 1. ფრინველი, რომელიც სულ „სვავს“; 2. „ოურას უ-ს გარეშე ვერ“ ჩატარებული საორკესტრო შესავალი; 3. „პლანის სანეტარო“ მოსაწევი ადგილი დედამიწაზე; 5. „დიფერენციალური“ დაავადება, რომელიც ბევრისთვის მტერია; 6. ის, რაც ზარის თამაშის დროს „შენ“ მოგდის (რუს. ნაწ. კავშ.); 9. „შარაზე“ გასართობი თამაშ – გამოცანა; 10. ის, რაც უხსენებელს ახასიათებს „2 სი-ს“ თანხლებით; 15. ოქროს „ზოდების მაქებარი“ ასტროლოგიური ნიშანი; 16. თამაში, რომლითაც „არდის“ თანამშრომლები ერთობიან; 18. დღეობა, რომელიც არწივის უნებართვოდ ჩატარდა ბულბულისთვის (მულტ.); 21. „რობერტას ბოტებიანი“ ავტომატური მანქანა; 23. „შენ“ და ხარის მიერ გადასალობი (რუს. კავშ.) 24. ის, ვინც „ბანკის კირს“ დაატარებს; 25. „საჭმელი“ კვესი (რუს.კავშ.); 28. „მორკინალი“ ლითონი; 30. „ავი“ ქარი. 32. „ვაშას“ მაძახებელი კაცის სახელი (რუს კავშ.); 35. „რუხი“ ბიჭი, რომელსაც არაფერი ერგო.(რუს. კავშ.); 37. „ბოლიანი“ კაცის შემოკლებული სახელი (რუს. კავშ.); 38. „უარყოფის“ მაჩვენებელი რგოლი (ინგლ. კავშ.).

**მიწოლილად:** 4. ის, რაც „კუ-ს“ არა აქვს; 7. „ვილის ყვავისთვის“ მისართმევი მცენარე. 8. ლუარსაბის და დარეჯანის „ბოზური“ სადილი; 10. ნარდში „სამიანის“ მოყვარული და მუსიკალური გამის „მეოთხე საფეხურზე“ დაბოლოებული კარავი; 11. რა ეწოდება ისეთ ბიჭს, რომელიც „ვარდებთან ერთად ვარდება“; 12. ჩვენს „ერში ბარით“ გადასალახი დაბრკოლება; 13. ის, რაზეც „მე ასე“ დავდივარ (რუს. კავშ); 14. რეზოს ზონაში მოსული გონიერული აზრი; 17. გოგო, რომელიც თუთაშხიას დაუხმარებლად მაინც შევიდა ღამე ყაჩაღთან; 19. „გაავებული დარიანი“ ამინდი; 20. „ჯარში“ ჩასაცმელი ტანსაცმელი; 22. „რიტას ტუალეტში“ ჩატარებული წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 24. „ბატონყმობის“ საბითუმო აფთიაქი თბილისში; 26. „ლევად“ ნაყიდი პროსტინის ქვედა ატრიბუტი; 27. დაწესებულება, რომელიც მხოლოდ „ორგანაა“; 29. „ტირანების“ დესპოტური მმართველობა; 31. „ოურის“ გამოყოფილი ადგილი კონკურსზე. 33. „რადიოში უმად“ გამოცხადებული ქიმიური ელემენტი; 34. „გარის მეშვიდე მუსიკალურ ნოტზე“ დაბოლოებული შემოწერილობა; 36. „კარზე მომდგარი ნალიანი“ საეკლესიო პირი; 39. ტიგრანას „მეავე“ ძმაკაცი ქურდად წოდებული (კინოფ.) 40. „გაზიანი“ ძაღლი; 41. „ათი სურით“ დახატული ნამუშევარი.

კობა ბაიდოშვილი

**წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 2. მუხლი; 5. დარაჯი; 7. კვერი; 9. ბუდა; 10. დემოკრიტე; 11. დიპლომი; 13. ვატიკანი; 14. ყარამანი; 15. დოლარი; 16. ასთმა; 20. იახტა; 21. ქისა; 24. კანადა; 25. ზანგი; 27. ამერიკა; 29. აინა; 30. იარა; 33. ზარალი; 35. ბურა; 36. სამარა; 37. ხრამი; 38. ალიაქოთი.

**შვეულად:** 1. მარმარილო; 2. მავზოლეუმი; 3. ლელვე; 4. კრიალოსანი; 6. ამონალი; 8. ადმირალი; 9. „ბერეტა“; 12. წვიმა; 15. დანია; 17. აბლაბუდა; 18. ეტალონი; 19. სიმონეთი; 22. საზანდარი; 23. ჭიანური; 24. კლაუდია; 26. არამისი; 28. მარგალიტი; 29. ალიბაბა; 31. ნაბადი; 32. თამარი; 34. მახრა.

# „გულანი“ იხურება

ცნობილი კომერციული ბანკი „გულანი“ იხურება. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს „გულანის“ პარტნიორებმა, რომლის საფუძველზეც, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ა.წ. 20 მარტს გამოსცა განკარგულება, სააქციო საზოგადოებისათვის საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზიის გაუქმების შესახებ. (იფრინდა)

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ზ

ზაბანიძე – 21 (თბილისი – 1; საჩხერე – 20);

ზაგაიძე – 26 (დედოფლისწყარო – 11; თბილისი – 9; თეთრიწყარო –1);

ზადიაშვილი – 21 (თყილისი – 16; გორი – 1; ახალგორი – 1);

ზავარაშვილი – 36 (თბილისი – 6; რუსთავი – 6; გურჯაანი – 4);

ზაზანაშვილი – 44 (თბილისი – 12; გორი – 2; ახმეტა – 1);

ზაზიაშვილი – 41 (თბილისი – 38; თეთრიწყარო – 3);

ზანგურიძე – 37 (გორი – 17; ბორჯომი – 3; ახალგორი – 1);

ზარასპაშვილი – 35 (თბილისი – 18; თელავი – 13; კასპი – 2);

ზატიკაშვილი – 46 (თბილისი – 7; თელავი – 39);

ზაქოძე – 31 (გარდაბანი – 3; მცხეთა – 28);

ზებედაშვილი – 49 (თბილისი – 30; რუსთავი – 3; გორი – 2);

ზეინალაშვილი – 27 (თბილისი – 11; გურჯაანი – 9; კასპი – 1);

ზენაშვილი – 39 (გორი – 8; თბილისი – 8; ახალციხე – 4);

ზესაშვილი – 43 (სენაკი – 22; თბილისი – 16; ჩხოროწყუ – 5);

ზიზიაშვილი – 44 (თბილისი – 39; მცხეთა – 4; საგარეჯო – 1);

ზირაქიძე – 22 (ბაღდათი – 8; ზესტაფონი – 6; თბილისი – 5);

ზოსიშვილი – 30 (მარტვილი – 23; სენაკი – 6; ჩხოროწყუ – 1);

ზუბადალაშვილი – 47 (დედოფლისწყარო – 19; თბილისი – 19; გორი – 1);

ზუბალაშვილი – 27 (თბილისი – 15; გურჯაანი – 4; გორი – 4);

ზულიაშვილი – 42 (თბილისი – 36; საგარეჯო – 5; ჭიათურა – 1);

ზუმაძე – 38 (მესტია – 38);

ზუმიაშვილი – 26 (გორი – 26);

ზურგაშვილი – 22 (თბილისი – 10; ბორჯომი – 9; გორი – 1);

ზურუბაშვილი – 28 (თბილისი – 9; გორი – 8; გურჯაანი – 4);

ზღაპარაძე – 35 (გურჯაანი – 24; ბოლნისი – 1; თბილისი – 10);

ზღულაძე – 45 (ლანჩხუთი – 20; ოზურგეთი – 12; თბილისი


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444